გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№35 (1676) 20 — 26 სექტემბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დავალიანება გაუნულდათ

პრემიერ-მინისტრმა წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდია გაუორმაგა

მზადება არეულობისთვის

„გეგმის ავტორებად გვევლინებიან ვანო მერაბიშვილი, გიორგი ლორთქიფანიძე, მიხეილ ბატურინი და მამუკა მამულაშვილი“ – რა წერია სუს-ის განცხადებაში

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა საარჩევნო გეგმა და სტრატეგია აქვს ლელოს

სალომე სამადაშვილი: „ჩვენი ამოცანა საარჩევნო ბარიერის გადალახვა კი არა, ხელისუფლების შეცვლაა!“

არჩილ გამზარდია: „ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლის რესურსი არ აქვს!“

რატომ ჩაიკეტა საკუთარ „ბაბლში“ ოპოზიცია და გახდება თუ არა ნიკა მელია ენმ-ის გახარია

საპატრულო პოლიციამ ნარკოდანაშაულის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მომზადების ფაქტებზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ი.ფ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, ი.ფ. გადამოწმების მიზნით შეაჩერეს, რა დროსაც, მისი პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად, 244 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამატებით ამოღებულ იქნა 998.87 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის ნაწილსაც ბრალდებული ინახავდა დაცულ საცავში, ხოლო ნაწილი განთავსებული ჰქონდა კონკრეტულ ლოკაციაზე, მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260– ე მუხლის პირველი და 18-260-ე მუხლის მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

სამეგრელოს პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის საქართველოში უკანონოდ შემოტანისა და რეალიზაციის ბრალდებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) სამმართველოსა და საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, უკრაინის მოქალაქე – 1980 წელს დაბადებული ო.ო. დააკავეს.

მას ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება და საქართველოში უკანონოდ შემოტანა.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, შემდგომი გასაღების მიზნით, ნარკოტიკულ ნივთიერებებს ბათუმში, სხვადასხვა ლოკაციაზე ათავსებდა, ფოტოებს უღებდა, შემდეგ კი შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით, ნარკოტიკის შეძენით დაინტერესებულ პირებს უგზავნიდა.

სამართალდამცველებმა ო.ო. ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, 102 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“ ნივთმტკიცებად ამოიღო, ხოლო, ბრალდებულის მიერ მითითებული ადგილებიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 156 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეთადონია“ ამოღებული.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო-შეძენა-შენახვა-გასაღებისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი მე-6, მე-7 ნაწილებით, ასევე, 262 -ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ გამოძალვისა და მუქარის ფაქტები ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ყ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი გამოძალვისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დედას – 1952 წელს დაბადებულ მ.ყ.-ს, თბილისსა და ახმეტაში, მის საკუთრებაში არსებული, 170 ათასი ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლების თავის სახელზე გადაფორმებას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანმრთელობის დაზიანებითა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ა.ყ. ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვისა და მუქარის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ე.მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ბათუმში, ერთ-ერთ სუპერმარკეტს ყაჩაღურად თავს დაესხა და იარაღის მუქარით, თანამშრომელს 2000 ლარი გასტაცა.

მიმალვის მცდელობისას, ბრალდებული სამართალდამცველებს არ დაემორჩილა და მათი მიმართულებით გასროლა განახორციელა, რა დროსაც პოლიციელებმა ის განაიარაღეს და დააკავეს.

მომხდარი შემთხვევის შედეგად, არავინ დაშავებულა.

ყაჩაღობის გზით დაუფლებული ფული და დანაშაულის ჩადენის იარაღი პოლიციის მიერ ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

პროკურატურამ ბათუმში ყაჩაღობისა და პოლიციელზე თავდასხმის ფაქტებზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 13 სექტემბერს, ბათუმში, ბრალდებული, ხმოვანი პისტოლეტის გამოყენებით, ერთ-ერთი სუპერმარკეტის მოლარე ოპერატორსა და დაცვის თანამშრომელს თავს დაესხა და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, 2000 ლარის გატაცება სცადა.

„ბრალდებული შემთხვევის ადგილზე მისულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა, ერთ-ერთ თანამშრომელს ხმოვანი პისტოლეტი მხრის არეში ჩაარტყა და გაქცევა სცადა, რა დროსაც პოლიციელების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. პოლიციელებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა) და 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციელზე თავდასხმა) წარედგინა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მზადება არეულობისთვის

„გეგმის ავტორებად გვევლინებიან ვანო მერაბიშვილი, გიორგი ლორთქიფანიძე, მიხეილ ბატურინი და მამუკა მამულაშვილი“ – რა წერია სუს-ის განცხადებაში

ნინო დოლიძე

ყველას ან თითქმის ყველას, ვინც ბოლო წლების ქართულ პოლიტიკას თვალს ადევნებს და აკვირდება, ალბათ, ერთგვარი „დეჟა ვუ“-ს განცდა აქვს. ყოველ შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცები 2003 წლის სცენარის გათამაშებას ცდილობენ ანუ თუ მაშინ ხელისუფლების შეცვლის საბაბი არჩევნების გაყალბება გახდა, ამჯერად ტრიგერის როლს, სავარაუდოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის არმინიჭება შეასრულებს. ახლა, შესაძლოა, ეს ვინმეს გადამეტებულ შეფასებად მოეჩვენოს, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პირდაპირ აცხადებს, რომ გვიან შემოდგომაზე, ესე იგი, ოქტომბერ-ნოემბერში ქვეყანაში არეულობა იგეგმება.

სუს-ის მიერ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ:

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში, საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.

დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეულია მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა. სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად მომზადების შეთქმულთა მოლოდინი გათვლილია იმ გარემოებაზე, რომ გამოქვეყნებული დასკვნა იქნება უარყოფითი, რაც მათ განკარგულებაში არსებული საინფორმაციო ქსელებით, მთავრობისთვის ხელოვნურად დამაგრებული „პრორუსულობის“ ლოზუნგით, შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს საზოგადოებრივი მღელვარებისა და შემდგომი არეულობებისათვის.

აღნიშნული გეგმის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილე და ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე, გიორგი ლორთქიფანიძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული წარმოშობის მქონე პირები, მათ შორის, მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი, მიხეილ ბატურინი და ასევე, სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური, მამუკა მამულაშვილი. ხაზგასასმელია ის, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება იგეგმება უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით.

დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციით, გიორგი ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად გამოყენებული იქნება უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის საკმაოდ დიდი ჯგუფი და დაინტერესებული მხარის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, რომელთა გადამზადება-წვრთნა მიმდინარეობს პოლონეთი-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ. რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც შეადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. სწორედ ამ ორგანიზაციებმა წარსულში მიიღეს აქტიური მონაწილეობა სერბეთში განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში და შესაბამისად, რეგულარულად გამოიყენებიან სხვადასხვა ქვეყანაში, ახალგაზრდების მომზადებასა და დესტრუქციულ პროცესებში ჩართვის მიზნით.

ხსენებული პირების მიერ განიხილება მოვლენათა განვითარების რამოდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ეგრეთ წოდებული „კარვების ქალაქის“ მოწყობას, საქართველოში ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებასა და ასევე, სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც შეიცავენ მძიმე პროვოკაციის ელემენტებს. კერძოდ, დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება საქართველოში, 2014 წელს, უკრაინაში გამართული ,,ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.

ასევე ცნობილია, რომ გიორგი ლორთქიფანიძისა და მიხეილ ბატურინის ორგანიზებით, აქციების მიმდინარეობის ადგილას, კერძოდ, ეგრეთ წოდებული „კარვების ქალაქის“ ტერიტორიაზე, წინასწარ შერჩეულ კარავში შეტანილი იქნება ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის აფეთქებაც განზრახული აქვთ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორებს. აღნიშნულმა, მათი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, უნდა გამოიწვიოს საპროტესტო აქციებში მონაწილე მშვიდობიან მოსახლეობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რიგებში მსხვერპლი. ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები იმედოვნებენ, რომ მოხდება უმისამართო სროლა სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.

გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ხსენებული პროვოკაციები, ორგანიზატორების მიერ, პირველად არ დაგეგმილა საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა წარსულში ისინი აღკვეთილ იქნა სამართალდამცავების ეფექტიანი და პრევენციული რეაგირების მეშვეობით. არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გამოწვევების გათვალისწინებით, განსხვავებით წინა შემთხვევებისაგან, ამჟამინდელი გეგმა წარმოადგენს გაცილებით მაღალი რისკის შემცველ ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებას, ასევე, საქართველოს რიგითი მოსახლეობის სიცოცხლეს, კეთილდღეობასა და ჯამრთელობას.

აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სხვა კომპეტენტურ უწყებებთან კოორდინაციაში, ახორციელებს და განახორციელებს ყველა საჭირო პრევენციულ ღონისძიებას. ასევე, დამატებითი ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, სამსახური ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მიმართავს პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებს“.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა შესაბამისი სამსახურები მოსალოდნელ არეულობაზე მოსახლეობას აფრთხილებენ. ასე, მაგალითად, გვახსოვს ე.წ. პაკრიშკების საქმე, თუმცა არ ვიცით, მაშინდელი გამოძიება რითი დასრულდა.

ისე, „კუდიანებზე ნადირობა“ განსაუთრებით საააკაშვილის ხელისუფლებას უყვარდა. ყოველ შემთხვევაში, იგივე 2007 წლის სისხლიანი 7 ნოემბრის შემდეგ, იმდროინდელი ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. უფრო მეტიც, სამართალდამცავმა უწყებებმა ფარული ჩანაწერებიც კი გაავრცელეს და მოსახლეობა ლამის დააჯერეს, რომ ოპოზიცია რუსეთისგან იმართებოდა.

დღევანდელი მოცემულობით, ოპოზიცია რუსეთთან არ „ილინკება“ და ოფიციალურად არც ისაა ნათქვამი, რომ არეულობის უკან, შესაძლოა, დასავლეთი იდგეს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად უტყუარი საბუთებია საჭირო, თანაც ოპოზიცია ამბობს, რომ ის, რაზეც სახელმწიფო უწყებები საუბრობენ, ბოდვაა და მეტი არაფერი.

ალბათობის თეორიის გათავლისწინებით, მოვლენები, შესაძლოა, ისეც განვითარდეს და ასეც. ამიტომაც, იგივე, უსაფრთხოების სამსახურები იმისთვის არსებობენ, რომ ფხიზლად იყვნენ და პრევენციას მანამ მიმართონ, სანამ რამე ცუდი მოხდება, თორემ ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრებისგან ვიცით, რომ ურმის გადაბრუნების შემდეგ, გზა ყოველთვის გამოჩნდება...

რა საარჩევნო გეგმა და სტრატეგია აქვს ლელოს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ვერსია“ ამჯერად პარტია ლელოს საარჩევნო გეგმებით დაინტერესდა... გთავაზობთ ინტერვიუს სალომე სამადაშვილთან, რომელმაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გასულ წელს დატოვა და ხაზარაძე-ჯაფარიძის პოლიტიკურ გუნდს შეუერთდა:

სალომე სამადაშვილი: „ჩვენი ამოცანა საარჩევნო ბარიერის გადალახვა კი არა, ხელისუფლების შეცვლაა!“

– დღეს, ლელოს მთავარი ამოცანა საკუთარი პარტიული დღის წესრიგის შექმნა და პარტიის გაძლიერებაა. იცით, რომ გვქონდა რეორგანიზაცია პარტიაში და შესაბამისად, ფართოვდება ლელოს აქტივობები. ამავდროულად, ყოველთვის ვამბობდით, რომ მზად ვართ კონსულტაციებისთვის იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც იზიარებენ ჩვენს ხედვას, რომ ამ ქვეყნის მომავალი ევროკავშირშია. იმ პარტიებთან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მომავლის შექმნა წარსულში დაბრუნებას არ ნიშნავს და შესაბამისად, ვემზადებით მართლა საარჩევნო კამპანიის დასაწყებად, რაც, რა თქმა უნდა, მომავალ წელს მოხდება.

– რომელ პარტიებთან გაქვთ კონსულტაციები?..

– არ არის ეს ამ ეტაპზე აქტუალური, მოგვიანებით...

– მნიშვნელოვნად გამოკვეთა ლელომ, რომ არ ითანამშრომლებს ნაციონალურ მოძრაობასთან... როგორ ფიქრობთ, ეს სწორი სტრატეგიაა საარჩევნოდ? მასშტაბური გაერთიანება ხომ არ იქნებოდა ოპოზიციის გამარჯვებისთვის ხელშემწყობი?

– დღეს, ქვეყანაში გვაქვს ღრმად პოლარიზებული გარემო. „ქართულ ოცნებას“ ყველაზე მეტად ეშინია, რომ ნაციონალური მოძრაობის გარდა, სხვა პოლიტიკური ალტერნატივა იარსებებს და სალომე ზურაბიშვილიდან დაწყებული, ნებისმიერი აქტიური მოქალაქით დამთავრებული, ყველას აცხადებს ნაცმოძრაობის წარმომადგენლად, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ მისი ხელისუფლებაში დარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ალტერნატივას ვერ დაინახავს ქართველი ხალხი. ამიტომ ვხედავთ, როგორი აქტიური თავდასხმაა დღეს ლელოსა და ყველა არანაციონალური მოძრაობის წარმომადგენელზე. ეს, თავისთავად, აჩვენებს, რომ ლელოს მიდგომა არის სწორი, ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს თავის ამომრჩეველი... მათი საქმეა საკუთარი ამომრჩევლის მობილიზაცია, მაგრამ გამოკითხვებით ვხედავთ, რომ უმრავლესობას არც ნაციონალური მოძრაობა უნდა და არც – „ქართული ოცნება“ ქვეყნის ხელისუფლებაში და გვინდა, რომ მათ შევთავაზოთ ალტერნატივა.

– საპარლამენტო არჩევნების ბარიერი 5%-მდე გაიზარდა და ფიქრობთ, რომ ლელო ამას მარტივად გადალახავს?

– ბარიერის გადალახვა არ არის ლელოს ამოცანა, არამედ, ხელისუფლების შეცვლაა. დღეს, საქართველოში, პოლიტიკური ხელისუფლება მიტაცებული აქვს რუსულ ხელისუფლებას. ვისაც ამაში ეჭვი ეპარებოდა, იმედია, დარწმუნდა მას შემდეგ, რაც ვნახეთ, რა რეაქცია აქვთ ფარცხალაძის სანქცირებაზე... ვხედავთ, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი საქართველომ არ მიიღოს და მერე უკვე ღია ანტიდასავლური გზავნილით დარჩეს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში. ეს არის რუსული დავალება, ამიტომ ჩემთვის იმაზე კი არ არის საუბარი, ვინ რა ბარიერს გადალახავს, არამედ, შევძლებთ თუ არა ამ ქვეყნის სუვერენიტეტის გადარჩენას. შემდეგი არჩევნები არის ქვეყნის სუვერენიტეტის გადასარჩენი – არც მეტი და არც ნაკლები!

– წელან პარტიების დასახელებისგან თავი შეიკავეთ, თუმცა ვფიქრობ, უკვე უნდა დაინახოს ამომრჩეველმა კონტურები, თუ რომელი პარტიები დადგებიან ერთად, საარჩევნოდ... გირჩი-მეტი თავისუფლებასა და დროას ტანდემთან კოალაციას ხომ არ განიხილავთ?

– გასულ წლებში, საქართველოში იმდენი გაერთიანება, დაშლა და მერე ისევ გაერთიანება მოხდა, რომ მგონი, საკმაოდ დიდ ფრუსტრაციას იღებს, მათ შორის, ჩვენი ამომრჩეველი ამ პროცესებისგან. ამიტომ, ჩვენი მიდგომა ყოველთვის არის ის, რომ ჯერ სჯობს, საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ სამოქმედო გეგმაზეც, პარტნიორებზეც და კონკრეტული შეთავაზებები ამის შემდეგ გავუკეთოთ საზოგადოებას.

– იქნება თუ არა ევროკავშირის გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხზე ოპოზიციისთვის, თქვენი პარტიისთვის, საარჩევნო სტრატეგიის გადამწყვეტი ფაქტორი? ასევე, საინატერესოა რა მოლოდინი გაქვთ – მივიღებთ ამ სტატუსს წლის ბოლოს?

– ვერ ვიტყვი, რომ ჩემი დამოკიდებულება კანდიდატის სტატუსის მიღება-არმიღებაზეა დამოკიდებული ანუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი, რადგან ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენ კანდიდატის სტატუსი არ მიგვეღო. თუ მიუხედავად ამისა, ევროკავშირი მაინც მოგვანიჭებს კანდიდატის სტატუსს, ეს არ ცვლის რეალობას, რომ რუსული ხელისუფლება იქნება შესაცვლელი. თუ გაუვა „ქართულ ოცნებას“ და მათი საბოტაჟის შედეგად, კანდიდატის სტატუსზე ისევ გადაიდება გადაწყვეტილება, ესეც აჩენს იმ რეალობას, რომ ანტიევრიპული ხელისუფლება ქვეყანაში გვეყოლება შესაცვლელი. ამიტომ, ჩემთვის ეს გადაწყვეტილება იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანაში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, არაფერს ცვლის.

რაც შეეხება მოლოდინს, გამიჭირდება, გითხრათ, რადგან საკმაოდ უპრეცედენტო შემთხვევაა ევროკავშირის გაფართოვების ისტორიაში, ქვეყანას ჰყავდეს ხელისუფლება, რომელიც თვითდაზიანებას აყენებს სახელმწიფოს და ყველაფერს აკეთებს, რომ კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭოს ევროკავშირმა – ასეთი აბსურდი არ მომხდარა...

ერთადერთი, შეიძლება გავიხსენოთ იანუკოვიჩის მაგალითი, როდესაც ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარი თქვა, მაგრამ ეს განსხვავებული მაგალითია, რადგან მან თავად თქვა უარი ასოცირების გაფორმების შეთანხმებაზე. ამ შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ საბოტაჟს უწევს ევროკავშირს, რომ იმდენად ცუდად მოიქცეს, შეუძლებელი გახდეს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. აქედან გამომდინარე, გამიჭირდება პროგნოზის გაკეთება. ერთი რამ შემიძლია, გითხრათ – გადაწყვეტილება როგორიც უნდა იყოს, საქართველოს ყველა მოქალაქემ, რომლისთვისაც რუსეთისგან დამოუკიდებელი სუვერენული საქართველოს არსებობაა მნიშვნელოვანი ღირებულება, უნდა გააცნობიეროს, რომ შემდეგ არჩევნებზე წყდება მისი ბედი გრძელვადიან პერსპექტივაში.

– ქალბატონო სალომე, გულწრფელად მიპასუხეთ – ფიქრობთ, ლელოს აქვს ყველა რესურსი, რომ ოპოზიციის გამაერთიანებელი პლატფორმა გახდეს ხელისუფლების დასამარცხებლად?

– ჩვენ გვაქვს პოლიტიკური რწმენა, რომ ეს უნდა გაკეთდეს. ვინც გაიზიარებს ამ რწმენას და ასე უყურებს 2024 წლის არჩევნებს, რომ ეს არა მორიგი არჩევნებია, არამედ, წყდება ამ ქვეყნის ბედი, ერთად უნდა დავდგეთ. თუ ვერ მოვძებნით ამ ძალას, მაშინ, შემდეგ არჩევნებზე ძალიან ღიად გადაფორმდება ეს ქვეყანა რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცეულ სახელმწიფოდ, რომელსაც დასავლური მომავლის პერსპექტივა აღარ ექნება. გამოწვევა იმდენად დიდია, რომ ყველამ უნდა გადადოს გვერდზე... სადაც არის ქვეყნისა და სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის დღის წესრიგი, იქ არ შეიძლება, არსებობდეს პარტიული ან პირადი დღის წესრიგი. მე ასე ვხედავ, ყოველ შემთხვევაში...

არჩილ გამზარდია: „ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლის რესურსი არ აქვს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

რატომ ჩაიკეტა საკუთარ „ბაბლში“ ოპოზიცია და გახდება თუ არა ნიკა მელია ენმ-ის გახარია

– არჩილ, ოპიზიცია სრულ გაერთიანებას ვერ ახერხებს, მხოლოდ გარკვეული პარტიები ჯგუფდებიან... არსებული ვითარების გათვალისწინებით, ოპოზიციურ პარტიებს რა შანსი აქვთ საპარლამენტო არჩევნებისთვის?

– რომ გადავხედოთ საარჩევნო კამპანიების ისტორიას, სულ ასე იყო – ვითომ, რაღაც ერთიანობა დაიწყებოდა, მერე იშლებოდა, გარკვეული პარტიები ჯგუფდებოდნენ და განსაკუთრებულ წარმატებას ვერ აღწევდნენ. მით უმეტეს, რომ გააჩნია, საარჩევნო ამოცანა რა არის... თუ პარტიისთვის ისაა ამოცანა, რომ გარკვეული რესურსებით შევიდეს პარლამენტში, ეს სხვა რამაა, მაგრამ მთლიანობაში, ოპოზიცია აცხადებს, რომ მისი საარჩევნო მიზანია ხელისუფლების შეცვლა. აი, მაგალითად, 2020 წლის არჩევნები პარტიების უმრავლესობისთვის იყო წარმატებული, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის მიზნისთვის შედეგს ვერ მიაღწია. ამიტომ, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლის რესურსი მაინცდამაინც არ გააჩნია, მით უმეტეს, რომ მმართველმა ძალამ ძალიან კარგად აუღო ოპოზიციას ალღო, რადგან პროგნოზირებადია ჩვენი ოპოზიცია – სიახლეები ვერ შეაქვს, თვითგანვითარებას ვერ ახერხებს და სულ ერთნაირია. შესაბამისად, ხელისუფლებამ იცის პროპაგანდისტული შევიწროების მექანიზმები, მინიმუმ, ერთი ნაბიჯით უსწრებს ოპოზიციის პიარ-კამპანიებს და ა.შ. ამასთან ერთად, კიდევ ბევრი მიზეზის გათვალისწინებით, ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლის რესურსი, ამ ეტაპზე, არ აქვს.

ერთადერთი დეტალი ისაა, რომ არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული წესით, თუმცა არის 5%-იანი ბარიერი, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ოპოზიციური პარტიების სრული უმრავლესობისთვის და ასეთი ფრაგმენტული გაერთიანებები, ვეჭვობ, ახერხებდეს განსაკუთრებული რესურსების შექმნას ოპოზიციისთვის.

რაც შეეხება ოპოზიციის პასიურობას, ეს იმიტომ ხდება, რომ არ იცის, რა გააკეთოს. მუდმივად ერთ რეჟიმშია... რომ ცდილობენ ხელისუფლების მხილებას, კი, ხშირად გამოსდით, მაგრამ ალღო ვერ აუღეს ამომრჩეველს, რომელიც შეიცვალა. აღარ არის საკმარისი მხოლოდ იმის გააზრება, რომ ხელისუფლება არ ვარგა. რაც საკმარისი იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს, დღეს, აღარაა საკმარისი. ძნელია, იპოვო მეტ-ნაკლებად კმაყოფილი მოქალაქე ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ეს საკმარისი არაა, რომ ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთოს ოპოზიციის სასარგებლოდ. მას სჭირდება მიზეზი და მოტივი, რატომ არის ესა თუ ის პარტია უკეთესი ხელისუფლებაზე და ამის ჩვენების ეფექტი ძალიან დაბალია. ამიტომ, ოპოზიცია, რომელიც სულ ერთი და იგივე პრინციპით ატარებს საარჩევნო კამპანიებს, იმიტომაცაა გაპასიურებული და ვერ გამოყურება ცოცხლად, რომ ვერ ახერხებს, ალღო აუღოს ახლანდელი ამომრჩევლის შინაარსს. მედია უფრო ახერხებს ოპიზიციური ფუნქციის შესრულებას, ვიდრე თავად პარტიები.

– გეთანხმებით, რომ პარტიებს პიარ-მეთოდები მოუძველდათ. ხელჩაკიდებულ ფოტოებს ვერ გასცდა პიარ-კამპანიის სტრატეგია... თქვენ და მე რომ ვხვდებით ამას, თავად ვერ ხვდებიან, თუ სადაა პრობლემა? რატომ არ უახლოვდებიან შინაარსობრივად ამომრჩეველს?

– ვფიქრობ, პირველ რიგში, კომპეტენციების დეფიციტია. აღარ ჰყოფნით საკუთარი თავი და რაღაც სიახლეებისა და ცვლილებების შეტანასაც არ ცდილობენ, რადგან ერთი და იგივე გეზით სიარული უფრო მარტივია. თვითაქტივობის ილუზიას ქმნიან იმით, რომ მედიაში ხშირად ტრიალებენ და ერთგვარი მეტაფორაც ხომ გაჩნდა – „ბაბლში ჩაკეტილობის“ – ეს ძალიან ცუდ საქმეს აკეთებს, რადგან ილუზიებს ქმნის ოპოზიციური სუბიექტებისთვის, რომ თითქოს მათ განსაკუთრებული პერსპექტივა აქვთ. ამიტომ, ვერ ვითარდებიან ოპოზიციური სუბიექტები, ერთი და იგივე სახეები გვყავს, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარ თავზე მეტად მუშაობას. ოპოზიციის ნებისმიერი ლიდერი, როგორიც იყო ათი წლის წინ, იგივეა. რატომ აღარ უყურებს ბევრი ადამიანი ოპიზიციონერების გამოსვლებს? – იმიტომ, რომ მარტივად პროგნოზირებადნი არიან, ერთსა და იმავე თემებზე საუბრობენ. ხელისუფლება თავის მავნებლობაში მუდმივად მუშაობს, მაგრამ ოპოზიცია ისევ თავის თავშია ჩაკეტილი.

საქართველოში პარტიები ავტოკრატიული და ჩამოკიდებულია დამფუძნებელ ლიდერებზე. ჩამიტარებია ლექციები ახალგაზრდულის წარმომადგენლებისთვის და ბევრი საინტერესო სახე ჰყავთ ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ ისინიც ადმინისტრაციულ როლს ასრულებენ. არ აქვთ საშუალება, პარტიისა და ლიდერის შინაარსში ცვლილებები შეიტანონ. ეს სერიოზული პრობლემაა.

– ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაში – ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება ისევ გრძელდება... მელია არც გამოეყო პარტიას და ისევ არსებულ მენეჯმენტს ემიჯნება. მიგაჩნიათ, რომ საარჩევნოდ, ეს დიდი პრობლემაა?

– ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს ელექტორატის განადგურება არ შეუძლია, რადგან ისინი, ძირითადად, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორზე არიან ორიენტირებულნი. შესაბამისად, უკმაყოფილო ამომრჩევლები მაინც მისცემენ ხმას და ეს ფაქტორი მუშაობს. ამას გარდა, 2024 წლის არჩევნების პრონციპი ისეა აგებული, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვის საშუალება ერთ-ორ პარტიას აქვს, მათ შორის, ენმ-სა და ამიტომ, ელექტორატის საერთო მნიშვნელობას კი არ აქვს განსაკუთრებული ფუნქცია, არამედ, როგორ დაჯდება ხმები სხვა პარტიებისთვისაც და ვიცით, რომ ყველაფერი ეს ხელისუფლებაზე მიდის ან რაღაც წილი ოპოზიციაზეც გადანაწილდება, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას როცა აბრალებენ ოპოზიციური პარტიები, ამას არ ვეთანხმები.

ნაციონალური მოძრაობის მიმართ ოპოზიციის ნეგატივი ჩემთვის გაუგებარია, რადგან აჩვენონ საკუთარი თავის საჭიროება, ვიღაც გახდეს უფრო საინტერესო, ვიდრე თუნდაც მიხეილ სააკაშვილია... ვერ ახერხებენ და მერე ნაციონალურ მოძრაობას აბრალებენ, რაც გაუგებარია. თუ ნაციონალური მოძრაობა სხვებს სჯობს და ისე ახდენს სახელისუფლებო პროპაგანდა რეკრუტირებას, რომ აფილაციას მოუტანს ნაციონალურ მოძრაობასთან და ამით სხვა ოპოზიციური პარტია ზარალდება, შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ თვითიდენტობის შექმნას. ესეც მათი შესაძლებლობების სიმწირის ბრალია.

– მელიამ რომ განიზრახოს ენმ-ის ახლანდელი მენეჯმენტის პოლიტიკური დაზიანება და პარტიას არჩევნებანდე ცოტა ხნით ადრე გამოეყოს, რა შანსი ექნება და რა მასშტაბის ზიანი მიადგება პარტიას მისი წასვლით?

– გაჩნდა ასეთი რიტორიკული კითხვა – გახდებოდა თუ არა ნიკა მელია ნაციონალური მოძრაობის გახარია, პარტიის თავმჯდომარეობის დროს, მას ამის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა. ახლანდელ პირობებში ვერ ვხედავ, რომ ეს რესურსი განსაკუთრებულად დიდია. პერსონა ინარჩუნებს ინტერესს, მაგრამ როცა ხედავენ, რომ ნაციონალურ მოძრაობაშიც კი განსაკუთრებული ცვლილება ვერ შეიტანა კრიტიკულ მხარეს ყოფნით, რომ შექმნას პარტია, ვეჭვობ, განსაკუთრებული რესურსები წაიღოს, მათ შორის, ამომრჩევლის კუთხით. მას აქვს რაღაც საინტერესო უნარები, მაგრამ ამ უნარებში ძლიერი მაშინ იყო, როცა ძლიერ პარტიას წარმოადგენდა და თავმჯდომარეობის დროს ბევრი საინტერესო სიახლე შეიტანა პარტიაში, მაგრამ ყველაფერი ეს განლევადია და ამ ეტაპზე, ეს რესურსი არ ჩანს.

– არჩილ, იქნება თუ არა ხელისუფლების შესაცვლელად საკმარისი, სრულად პროდასავლური ოპოზიციის საარჩევნოდ გაერთიანება?

– ეს იგივე კითხვაა – დედამიწა რომ ყოფილიყო სამკუთხედი...

– რატომ? ახლაც შეუძლიათ გაერთიანება, თუ მოისურვებენ...

– არ შეუძლიათ! ჩვენ მხოლოდ დასახელებებთან კი არა, ადამიანებთან გვაქვს საქმე, რომლებსაც საკუთარი ამბიციები აქვთ. შეუძლებელია, ასეთი გაერთიანება... გაერთიანების უნარი რომ გვქონდეს, ეს ქვეყანა ცოტა სხვაგვარად იქნებოდა მოწყობილი. ჩვენს საზოგადიებას გაერთიანების უნარი თითქმის არ გააჩნია, გარდა მცირე ფრაგმენტებისა... ამიტომ, ვიმსჯელო იმაზე, რაც შეუძლებელია, ძალიან ძნელია. თეორიულადაც რომ დავუშვათ, ყველა უნდა გახდეს ნაციონალური მოძრაობის წევრი. ყველაზე ცნობილი ბრენდი ეგ არის, დამახსოვრებული საარჩევნო ნომერი ეგ არის და ა.შ. ერთხელ ხუმრობით ვთქვი, ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი რომ შევკრიბოთ, მივიღებთ ერთი პარტიის ნორმალურ პოლიტსაბჭოს-მეთქი... მაგრამ არ ხდება ასე. ეს შეუძლებელია, რადგან არავინ დათმობს საკუთარ ამბიციებს. ამ ქვეყანას არაფერი ეტყობა, რომ ვინმეს საზოგადო სიკეთისთვის ამბიციის დათმობა შეუძლია.

ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დავალიანება გაუნულდათ

პრემიერ-მინისტრმა წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდია გაუორმაგა

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, 30 000-მდე სტატუსშეჩერებული სტუდენტი სწავლას იმავე უმაღლეს სასწავლებელში შეძლებს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა პრემიერის ინიციატივას პოპულისტური უწოდეს და ეს გადაწყვეტილება ექს-პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქცირების გადაფარვად მონათლეს. სინამდვილეში, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დავალიანება გაუნულეს, რომლებსაც სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების საშუალება მიეცათ. საუბარია, დაახლოებით, 40 მილიონ ლარზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

გადაწყვეტილება, რომელმაც მინიმუმ 30 000 ოჯახი გაახარა, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააჟღერა:

„მინდა, შევეხო ერთ პრობლემას, რომელიც ყველას აწუხებს, ეს არის ე.წ. სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხი. მე მოვიკითხე და განათლების მინისტრისგან მოვისმინე დეტალური ინფორმაცია. დაახლოებით, 30 000-მდე სტუდენტს, ფინანსური დავალიანების გამო, შეჩერებული აქვს სტატუსი და ამიტომ, ჩემი გადაწყვეტილებით, ყველა ამ სტუდენტს, ვისაც შეჩერებული აქვს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, გაუნულდება დავალიანება. სურვილის შემთხვევაში, მათ შეეძლებათ, აღიდგინონ სტატუსი და გააგრძელონ სწავლა თავიანთ უნივერსიტეტებში“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განცხადებით, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, დაახლოებით, 40 მილიონ ლარამდე დავალიანება დაუგროვდათ. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზევე, საჯაროდ მიმართა განათლებისა და ფინანსთა მინისტრებს, რომ დაუყოვნებლივ, იმ დღესვე დაეწყოთ კომუნიკაცია, რათა ეს პრობლემა დროის უმოკლეს ვადაში მოგვარდეს.

სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ფინანსური დავალიანების განულების ინიციატივას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განცხადებით გამოეხმაურა:

„იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ და შეუერთდებიან სტუდენტებისთვის ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, სამინისტროები შეიმუშავებენ საჭირო რეგულაციებს, რათა შეიქმნას შესაბამისი პირობები სტუდენტებისთვის დაგროვებული დავალიანების გასანულებლად.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში, სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადის დაფარვა პრობლემას წარმოადგენდა – ხშირად ფინანსური დავალიანების გამო, სტუდენტები იჩერებდნენ სტატუსს. დღეის მდგომარეობით, საჯარო და კერძო უნივერსიტეტებში ასეთი, საქართველოს მოქალაქე, დაახლოებით, 30 000-მდე სტუდენტია, რომელთაც ახალი გადაწყვეტილების შედეგად, სურვილის შემთხვევაში, სტატუსის აღდგენისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემათ“.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ფინანსური დავალიანების განულება ერთადერთი გადაწყვეტილება არ არის, რაც ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სტუდენტებს ეხებათ. პრემიერმა აღნიშნა, რომ ამჟამად მოქმედი პროგრამით, დაახლოებით, 2 500 სტუდენტი 150-ლარიან სტიპენდიას იღებს. ირაკლი ღარიბაშვილმა შესაბამის მინისტრებს სტიპენდიის გაორმაგება დაავალა და ამიერიდან, 150 ლარის ლარის ნაცვლად, დაახლოებით, 5 000-მდე წარჩინებული სტუდენტი 300-ლარიან სტიპენდიას მიიღებს. მისივე განცხადებით, შესაძლოა, ეს თანხა სიმბოლურია, მაგრამ როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს არის ერთგვარი ჟესტი და წარჩინებული სტუდენტები დაფასება.

„გარდა ამისა, მინდა კიდევ ერთი, დადებითი და პოზიტიური ინფორმაცია გავუზიარო ჩვენს სტუდენტებს. მოგეხსენებათ, სტუდენტებს მაქსიმალურად ვეხმარებით. პირველი, მინდა, გამოვყო ჩვენი განათლების საერთაშორისო ცენტრი. ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ უკვე წლებია, ჯერ კიდევ პირველი პრემიერობის დროს, დავაფუძნეთ აღნიშნული ცენტრი, 1 000-ზე მეტი საუკეთესო, წარჩინებული სტუდენტი გავუშვით უცხოეთში, საუკეთესო უნივერსიტეტებში და სრულიად უფასოდ ვასწავლეთ მათ. ასევე, შედარებისთვის მინდა გავიხსენო ისიც, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი, საკუთარ შვილს აფინანსებდა ბიუჯეტიდან და საკუთარი ოჯახის წევრებს აფინანსებდნენ ბიუჯეტიდან, უფინანსებდნენ სწავლას, – ეს არის განსხვავება ჩვენს შორის. რეალურად, ჩვენ 1 000-ზე მეტი საუკეთესო, წარჩინებული სტუდენტი შევარჩიეთ და ვასწავლეთ უცხოეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ბრუნდებიან, ზოგი ბრუნდება, ზოგი არა მარტო სახელმწიფო უწყებაში, არამედ, კერძო სტრუქტურებში საქმდებიან და ეს ჩვენი სიმდიდრე და სიძლიერეა. ამ პროექტს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ, ახალი მინისტრი მუშაობს ამ მიმართულებით“.

აღმოჩენილია ფინანსური დარღვევები აჭარის სამინისტროების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აჭარის ა/რ სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესდა. აუდიტი, რომლითაც ამჯერად დავინტერესდით, 2022 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს ეხება და როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ სერიოზული ფინანსური დარღვევებიც გამოვლინდა. აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოთხი სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი მხარჯავი დაწესებულებები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში, პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასებაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებსა და მომსახურების შესრულებაში.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი მხარჯავი დაწესებულებების მიერ, ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, რიგ შემთხვევებში, ბაზარი სათანადოდ არ გამოუკვლევიათ; რიგ შემთხვევებში, შესყიდვის სავარაუდო ფასი განსაზღვრულია გასულ წელს მსგავსი მომსახურების შესყიდვის ფასის შესაბამისად, თუმცა შესყიდვის ვადის გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევა არავალიდურია.

„შედეგად, 2022 წელს, 418 შემდგარი ტენდერიდან, 75 შემთხვევაში ფიქსირდება 20%-იანი და მეტი ფასის შემცირება. შემსყიდველების მიერ სამუშაოს/მომსახურების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 62 752 377 ლარით, შესყიდვის პროცედურების შედეგად, პრეტენდენტების მიერ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 13 450 150 ლარით და შეადგინა 49 302 226 ლარი, მათ შორის, დიდი ოდენობით შემცირებულია: საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნის/ინსპექტირების ფასი – 68%-ით; ინტერნეტ-მომსახურების შესყიდვის ფასი – 64 %-ით; საავტომობილო გზებზე ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ფასი – 41%-ით“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, რიგ შემთხვევებში, ბაზრის კვლევა სათანადოდ არ ჩატარებულა. ამის გამო, ტენდერებზე შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება 13 450 150 ლარით შემცირდა.

ხარვეზები პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასებაში

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზებზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებისათვის, 2021 წლის 12 ოქტომბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა 5 პრეტენდენტი. სატენდერო წინადადებით, პრეტენდენტის მიმართ არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, ხოლო მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 180 კალენდარულ დღეში.

„აუდიტის ჯგუფისთვის წარდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მომზადების ეტაპზე, უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტზე – შპს „ზიმო 7“-ზე რეგისტრირებული იყო: 25%-იანი წილის მქონე დამფუძნებლის წილზე ყადაღა, ამავე დამფუძნებლის მთელ ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და უშუალოდ პრეტენდენტის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა. პრეტენდენტის წინაშე არსებულ რისკებზე შემსყიდველს არ უმსჯელია, აღიარა გამარჯვებულად და გაფორმებულია ხელშეკრულება 3 348 999 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. 2021 წელს, მიმწოდებელს შესრულებული აქვს 139 496 ლარის სამუშაოები, ხოლო დარჩენილი სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2022 წელს, თუმცა შემსყიდველის მიერ, 2022 წლის 6 მაისის 32-ე ბრძანებით, მიმწოდებელთან ცალმხრივად, ნაწილობრივ შეწყვეტილია ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე დარეგისტრირებულია საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები-აკრძალვები, ასევე, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, შედეგად, ინფრასტრუქტურული ღონისძიება 2022 წელს ვერ განხორციელდა“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ მიერ, პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი. დაბალი ფასის მქონე ორი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია სატენდერო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის გამო, ხოლო მესამე პრეტენდენტთან გაფორმებულია ხელშეკრულება – 42 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რომელიც 2022 წლის 15 მაისამდე უნდა დასრულებულიყო. წარდგენილი დოკუმენტებით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ეტაპზე, მიმწოდებელს სამუშაოები არ განუხორციელებია. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, პირველად გაგრძელდა სამუშაოს შესრულების ვადა 2022 წლის 10 ივნისამდე, ხოლო შემდეგ, 23 ივნისს

დასასრული მე-8 გვერდზე

აღმოჩენილია ფინანსური დარღვევები აჭარის სამინისტროების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში

მე-7 გვერდიდან

ხელშეკრულება შეწყდა იმ საფუძვლით, რომ მიმდინარე ეტაპისთვის დამატებითი შესწავლის გარეშე, შეუძლებელია სამუშაოების დაწყება.

„განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ – ქვეპროგრამის ფარგლებში, ორი საჯარო სკოლის კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი. დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 415 748 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რომელიც 2022 წლის 27 ივლისამდე უნდა დასრულებულიყო. წარდგენილი დოკუმენტებით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ეტაპზე, მიმწოდებელს სამუშაოები არ განუხორციელებია და იმ მოტივით, რომ დარჩენილ დროში მიმწოდებელი ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. სამინისტროს მიერ, 2022 წლის 31 მაისს შეწყდა ხელშეკრულება, თუმცა წარდგენილ დოკუმენტებში არ არის იდენტიფიცირებული მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები და როგორც სხვა შესყიდვების შემთხვევაში, ვადის დარღვევით ფაქტობრივად შესრულების შესაძლებლობა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებებისა და შიდა კონტროლის სისუსტის გამო, მხარჯავი დაწესებულებების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების დროს, რიგ შემთხვევებში, სათანადოდ არ ხდება არსებული რისკების შეფასება, რამაც ინფრასტრუქტურული პროექტების დადგენილ დროში შეუსრულებლობა გამოიწვია.

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის ანგარიშსწორებას ახორციელებს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საექსპერტო მომსახურებისთვის ექსპერტებზე გადახდილია ჯამში 70 662 ლარი. ექსპერტების მიერ სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ანგარიშებით ირკვევა, რომ ექსპერტებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულად არ აქვთ ასახული დასკვნებში (ანგარიშებში), კერძოდ, სულ შესრულებული სამუშაოებიდან აზომილი აქვთ ხილული სამუშაოები, ხოლო ფარულ სამუშაოებზე ეყრდნობიან მშენებელი კომპანიისა და ტექნიკური ზედამხედველის მიერ დადასტურებულ ფარული სამუშაოების აქტებს.

„ანალოგიურად, ააიპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ მიმწოდებელს სრულფასოვნად არ აქვს შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავტორო ზედამხედველობა, მათ შორის, ფარული სამუშაოების დამოწმება, შეფასება და შედგენაში მონაწილეობა. აღნიშნულ პირობებში, სააგენტოს მიერ გადახდილია მომსახურების საფასური – 2 121 ლარი“.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, ქალაქ ბათუმში, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისათვის, 2021 წელს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა ოთხი პრეტენდენტი, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ნიუ სითი დეველოფმენთი“.

„სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობებით, საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 25 მაისი. სამინისტროს მიერ მიმწოდებელზე გადახდილია ჯერ ავანსი – 198 200 ლარი, ხოლო შემდგომში ეტაპობრივად, სრული სახელშეკრულებო ფასი – 991 200 ლარი. წარდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ განახორციელა პროექტის მიწოდება, რისთვისაც ექვემდებარებოდა 146 687 ლარის სანქციის დაკისრებას. თუმცა, მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, 2022 წლის 12 დეკემბერს, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება და სამინისტრომ გადაიხადა დარჩენილი სრული სახელშეკრულებო ღირებულება იმ მოტივით, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით აღძრავდა სარჩელს საერთო სასამართლოებში. შეთანხმებაში მითითებული პირობა/მოტივი საკონკურსო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ, ბუნებრივი აირის მილსადენის სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება. სატენდერო დოკუმენტაციით, ელექტრონული ტენდერით განსაზღვრული სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე უნდა ჰქონოდა ხელმისაწვდომი თავისუფალი ფინანსური რესურსი, არანაკლებ, 3 400 000 ლარის ოდენობით ან გახსნილი საკრედიტო ხაზი, რომლის ფარგლებშიც აუთვისებელი თანხის ნაშთი, არანაკლებ, 3 400 000 ლარი უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, მიმწოდებელს ერთი წლის ვადით ჰქონდა წარდგენილი საკრედიტო ხაზის საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ, თავისუფალი ფინანსური რესურსის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტაცია არ წარუდგენია, თუმცა სატენდერო წინადადებასა და ხელშეკრულებაშიც არ არის იდენტიფიცირებული, პრეტენდენტს რა პერიოდში და რა ვადით უნდა ჰქონოდა თავისუფალი ფინანსური რესურსი.

ხარვეზები სატენდერო დოკუმენტაციაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აგროსერვის ცენტრის მიერ, შპს „სოფლის მეურნეობის ლოგისტიკისა და სერვისების კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2 164 ჰა სახნავ-სათესი ფართობების დახვნა, 1 290 ჰა ფართობის დადისკვა (კულტივაცია) და დაფარცხვა. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, მიმწოდებელი ვალდებული იყო, წარედგინა ნიადაგის ფაქტობრივად დამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

„აგრომომსახურების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, ფერმერებისთვის მიწის ნაკვეთების უფასო დამუშავება ითვალისწინებს სამ კომპონენტს, მათ შორის, სამ მუნიციპალიტეტში 750 ჰა მიწის ფართობის დახვნას, ხოლო ორ მუნიციპალიტეტში – 1 414 ჰა ფართობის დახვნას, 1 290 ჰექტარის დადისკვასა და დაფარცხვას. სამ მუნიციპალიტეტში, პროგრამითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული 750 ჰექტრის – 34.8% ანუ 261 ჰექტარი მიწის დამუშავება არ განხორციელებულა. აგროსერვის ცენტრის ინფორმაციით, არახელსაყრელი ნალექიანი ამინდის შედეგად დაგვიანდა და ვერ მოხერხდა ნიადაგის დამუშავების დაწყება, რომელიც შემდგომში, ფერმერებმა საკუთარი ძალებით უზრუნველჰყვეს. წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით, ჯამში – 4.481 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე მიმწოდებლისთვის გადახდილია 687 552 ლარი“.

დამუშავებულ მიწის ფართობებთან დაკავშირებით, აგროსერვის ცენტრის წარმომადგენელბმა სახელმწიფო აუდიტორებს მიაწოდეს დოკუმენტები, სადაც ასახულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დამუშავებული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი, თუმცა აუდიტის მიმდინარეობის დროს, სახელმწიფო მაკონტროლებლებს ვერ მიაწოდეს სრულყოფილი დოკუმენტები, სადაც იდენტიფიცირებული იქნებოდა პროგრამით მოსარგებლე ფერმერი, დამუშავებული მიწის ფართობი და კომპონენტი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ აგროსერვის ცენტრმა სათანადოდ ვერ უზრუნველჰყო „აგრომომსახურების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება. შედეგად, 261 ჰექტრით შემცირდა პროგრამით დაგეგმილი ფართობი, ხოლო მიწის დამუშავებასთან დაკავშირებით, აუდიტის ჯგუფს ვერ მიაწოდეს სრულყოფილი ინფორმაცია ცალკეულ ფერმერთან კომპონენტის მიხედვით, ფაქტობრივად დამუშავებული ნაკვეთის ფართობების შესახებ.

სამართალი

№35 20 სექტემბერი 2023 წ

დიდი ნარკოგენოციდი

რატომ უჩნდებათ მარიხუანს მოწევის შემდეგ ახალგაზრდებს სიმაღლიდან გადახტომის, გაშიშვლებისა და გაქცევის სურვილი

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, ქართველმა სამართალდამცავებმა მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარეს და ისევ რამდენიმე ათეული ნარკოდილერი დააკავეს. ბოლო დროს დაკავებულ ნარკოტიკების გამსაღებელთა შორის უფრო მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ვიდრე – საქართველოსი. სამწუხაროდ, მათ შორის არაერთი უკრაინელია და სამწუხაროდ იმიტომ, რომ ოფიციალურად, ეს ადამიანები, მათ ქვეყანაში მიმდინარე ომს გამოექცნენ, მაგრამ სინამდვილეში, საქართველოში ნარკოტიკების გასასაღებლად არიან ჩამოსულები. ისიც უნდა ითქვას, რომ ლიდერობას აზიური ქვეყნების ქვეშევრდომები არ თმობენ, მათ შორის, ირანელები ჭარბობენ. ასეა თუ ისე, საქართველოში ნარკოტიკის ყიდვა დღეს პრობლემას არ წარმოადგენს და ინტერნეტსივრცეში ყოველდღიურად იქმნება ახალი აპლიკაციები, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკული საშუალებები ვრცელდება. სამწუხაროდ, არათუ ქართული პოლიცია და ქართველი აიტი სპეციალისტები, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის უძლიერესი ჰაკერებიც კი ვერ მოახერხებენ ამ აპლიკაციების აღრიცხვას, მათ გატეხვას, შესწავლას... ისინი ჩნდებიან და შესაძლოა, ორ საათში, უბრალოდ, გაქრნენ, მანამდე კი, ათეულობით შეკვეთის მიღებას ასწრებენ. საგანგაშოა ისიც, რომ ნარკოტიკი ეკლესიების ეზოებში შევიდა, სწორედ იქ აწყობენ სამალავებს დილერები და აგერ, ახლა, სვეტიცხოველი ჰქონდათ არჩეული. უფრო ზუსტად, სვეტიცხოვლის ეზო, რომელსაც ყოველდღიურად ასეულობით ტურისტი სტუმრობს და კონტროლი, უბრალოდ, ძნელია – თავად განსაჯეთ, ურთულესი გასაკონტროლებელია, ვინ სად დაიხრება, ან რომელი ქვის ქვეშ ნახავს ნარკოტიკს.

გარდა იმისა, რომ ნარკოტიკების გასაღების სერიოზული პრობლემა არსებობს, არანაკლები პრობლემაა მათი ხარისხი. ალბათ, გაგიკვირდებათ, ნარკოტიკების ხარისხზე რომ დავიწყებთ საუბარს, მაგრამ ის, რაც დღეს, საქართველოში იყიდება, გარანტირებული სიკვდილია. ჰო, გარანტირებული სიკვდილი, რადგან სუფთა ნარკოტიკს იშვიათად თუ იშოვით და რაც ადვილად ხელმისაწვდომია, არაფერი აქვს საერთო, თუნდაც პაბლო ესკობარის მიერ ნაწარმოებ კოკაინთან (ესკობარი, უფრო სწორედ, მისი საფლავი, ბოლო დროს, საქართველოში პოპულარული თემაა), არც – ბუნებრივ პირობებში მოყვანილ მარიხუანასთან, არც – სუფთა მორფთან. დღეს, გაყიდვაში არსებული ნარკოტიკების უდიდესი ნაწილი, უბრალოდ, ქიმიური ნაერთია, რომელიც მიჩვევასა და შემდეგ სიკვდილს იწვევს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ნარკოტიკს 70 ათასამდე ადამიანი მოიხმარს, მაგრამ ეს ციფრი, სავარაუდოდ, საუკეთესო შემთხვევაში, ორჯერ მეტია. ეს იმიტომ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლების აღრიცხვა სრულად წარმოუდგენელია და პირდაპირ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვთქვათ – თბილისის რამდენიმე კლუბში შეგიძლიათ შეამოწმოთ მისული ახალგაზრდები და ნახავთ, რომ ასიდან 99 მათგანი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იქნება, მათ უმრავლესობას მარიხუანა ექნება მოწეული, ნაწილს – კლუბური, ვითომ მსუბუქი ნარკოტიკი, ნაწილი კი ვენური ინექციის შედეგად მიღებული ნარკოტიკებით იქნება გაბრუებული. ნარკოლიბერალიზაციის გამო, მათი უდიდესი ნაწილის დასჯა შეუძლებელია, ეს მათ კარგად იციან და ამიტომ, თუნდაც მარიხუანას სახალხოდ და საჯაროდ მოხმარებას არ ერიდებიან. არც იმას მალავს არავინ, რომ მარიხუანას მომხმარებელთა შორის, უფრო მეტი გოგონაა, ვიდრე – ბიჭი. რამდენად მოქმედებს გოგონების ჯანმრთელობაზე მარიხუანას რეგულარული მოხმარება, თავად განსაჯეთ, მით უმეტეს, რომ ქართული საზომებითაც კი, მისი ფასი ბევრისთვის ხელმისაწვდომია – ნახევარლიტრიანი ქილა მარიხუანა 400-დან 600 ლარამდე ღირს, სიძლიერის მიხედვით. სიძლიერე კი, ადრე თუ ბუნებრივად განისაზღვრებოდა, ახლა ქიმიური შენაერთების სიმრავლთ განისაზღვრება. სწორედ ეს ქიმიური შენაერთებია, ფილტვებს უდიდეს ზიანს რომ აყენებს და შემდეგ მათი განკურნება შეუძლებელია. შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ფილტვებში ჩნდება პატარ-პატარა ნახვრეტები, შემდეგ ისინი ფართოვდებიან და ფილტვი იწყებს ლპობას. როცა საქმე მოზარდებთან გვაქვს, ხომ ხვდებით, რა მარტივად შეიძლება დაზიანდეს მათი ფილტვები და ყველაფერ ამის კონტროლის მექანიზმი არ არსებოს, რადგან, ნარკოლიბერალიზაციის ფონზე მარიხუანის მოხმარება არ იკრძალება.

„ეს არ არის არც ხვალინდელი და არც ზეგინდელი პრობლემა, პრობლემა გვაქვს ახლა და ახლაა მოსაგვარებელი. ჩემი ნება რომ იყოს, საკანონმდებლო ინიციატივით შევიდოდი და მარიხუანას მოხმარებას ავკრძალავდი ზუსტად ისე, როგორც სხვა, მძიმე ნარკოტიკია აკრძალული. დიახ, ჩემი აზრით, მარიხუანა მძიმე ნარკოტიკია და სულ ტყუილად ცდილობენ მის რომანტიზებას და იმის ახსნას, რომ თურმე, მარიხუანა კარგია, თურმე, გონებას ხსნის და ბევრად საინტერესო აზრი მოგდის თავში. რეალურად, იმას, რასაც ეწევიან, სიკვდილს იწვევს და არაერთი ათეული ახალგაზრდა სწორედ ასეთი მარიხუანას მოწევის შემდეგ გარდაიცვალა“, – გვეუბნება ამ სფეროს ექსპერტი.

მართლაც, როგორც მომხმარებლები გვიყვებიან, ქიმიური ნაერთებით გაჯერებული მარიხუანა უცნაურ შეგრძნებებს იწვევს. ახალგაზრდებს ეჩვენებათ, რომ მათ მოსაკლავად, ან დასაჭერად მისდევენ და უნდა გაიქცნენ. ამიტომაცაა, რომ ზოგი ახალგაზრდა აივნიდან და ფანჯრიდან ხტება, ზოგი – ხიდიდან, ზოგიც – გაქანებული მანქანიდან. მოწევის შემდეგ, ადამიანებს აღენიშნებათ არანორმალური სიმხურვალე, ჰგონიათ, რომ სხეული ეწვით და ტანსაცმლის გახდას იწყებენ. ამიტომაცაა, თბილისის კონკრეტულ ღამის კლუბში, ბოლომდე შიშველი ახალგაზრდები აქეთ-იქეთ რომ დარბიან და ხელებს იქნევენ, ამ გზით ისინი გაგრილებას ცდილობენ. სამწუხაროდ, ყველაფერ ამს ვუყურებთ, გვესმის, მაგრამ რამეს შეცვლა კანონის (ან უკანონობის) გამო, არ შეგვიძლია

შესაძლოა, ერთმანეთთან კავშირი ვერ დაინახოთ, მაგრამ ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, რამდენიმე მასწავლებლის წინააღმდეგ, მოსწავლეებმა უკვე შეიტანეს საჩივარი. თურმე, ერთ მასწავლებელს მოსწავლისთვის ჩაცმულობაზე მიუცია შენიშვნა და მას არ მოსწონებია, მეორეს უყვირია, როცა მეათეკლასელი გარბოდა, დაეჯახა და წააქცია (მოსწავლემ თქვა, იქვე ჩემი შეყვარებული იდგა და რომ დამიყვირა, მის წინაშე დამამცირაო), მესამეს... მიზეზები არასოდეს დაილევა და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ არასრულწლოვნებს სულ უფრო უმყარდებათ დაუსჯელობის სინდრომი. მათ ზუსტად იციან, რომ არათუ მარიხუანას მოხმარების გამო, არამედ, მაღაზიის გაქურდვისთვისაც კი არავინ დასჯით და ამიტომ, ეწევიან, იპარავენ, ყვირიან, ჩხუბობენ... აკეთებენ ყველაფერს, რისი გაკეთებაც სურთ და შემდეგ, როცა სხვა მოზარდი უყურებს ამას, ჯერ შურს, შემდეგ კი, ისიც იგივეს კეთებას იწყებს და ხვდება, რომ ცუდის გაკეთებისთვის (და მათ ზუსტად იციან, რომ მარიხუანას მოწევა ცუდია, მაღაზიის გაქურდვა კრიმინალია), არ ისჯებიან და ყველაფერი ხახვივით შერჩებათ.

სკოლის მასწავლებლებზე უარეს დღეში არიან მშობლები. ბავშვები არც თუ იშვიათად რეკავენ დასახმარებლად 112-ში, ისინი მშობლებს ძალადობაში ადანაშაულებენ და ეს მაშინ, როცა შესაძლოა, მშობელმა მხოლოდ უსაყვედურა სახლში გვიან მისვლის, ან სწავლის გამო. ამის მიუხედავად, მშობლის გაბრაზება (არ აქვს მნიშვნელობა, სამართლიანი, თუ უსამართლო), ფსიქოლოგიურ ძალადობად ითვლება და მშობელი იღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი, დიდი შანსია, ციხეში გაუშვან. ასე მარტივად, არათუ იძაბება მშობლისა და შვილის ურთიერთობა, არამედ, საერთოდ იკარგება და შემდგომში შვილი სულ უფრო ნაკლებად ინტერესდება, რას ფიქრობს მშობელი, რა უნდა მას და ცდილობს, დამოუკიდებლად იცხოვროს. ალბათ, ყველას გემახსოვრებათ, მოზრდილობის ასაკში, ჩვენც რომ გვქონდა ასეთი სურვილი და როცა მშობელს არ ვუჯერებდით, რითი სრულდებოდა ეს ყველაფერი.

სამწუხაროდ, ერთგვარ მოდად შემოვიდა სასაფლაოებზე შეკრება, საფლავების დაზიანება და ვანდალური აქტები იმდენად გახშირდა, რომ არაერთმა სასაფლაომ (განსაკუთრებით, დედაქალაქში), დარაჯები დაამატა, რათა მათ დღე-ღამის განმავლობაში მოახერხონ ტერიტორიის კონტროლი და გათენებულზე, რომელიმე საფლავის ქვა, ან ჯვარი დამტვრეული არ დახვდეთ. არც სამართალდამცავები მალავენ, რომ ბოლო დროს, საქმეების 90%-ზე მეტი, ან ოჯახურ ძალადობაზეა, ან ნარკოტიკების მოხმარება-გასაღებაზე. თავშიც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, ნარკოტიკებს უკვე ძირითადად უცხოელები ყიდიან და ეს იმის მიუხედავად, რომ მაგალითად, იმავე ირანელმა იცის, სამშობლოში ასეთი ქმედების გამო, ამწეზე ჩამოჰკიდებენ, თურქეთში – სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან, სიც საუკეთესო შემთხვევაში, საქართველოში კი... თითქოს, ჩვენთან ყველაფერი სულერთია, თითქოს, იმდენნი ვართ, რომ მომავალი თაობის ნაწილის დაკარგვა არაფერია, მარტივად გადავიტანთ. არადა, ეს ყველაფერი ჩვენს გენოფონდს ძალიან მწარედ ურტყამს. აგერ, „საქსტატის“ ოფიციალური ცნობით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში, ანუ საწყის ექვს თვეში, საქართველოში ცოცხლად დაბადებული ბავშვების რიცხოვნობამ 19 431 შეადგინა და ამავე პერიოდში, 21 944 ადამიანი გარდაიცვალა. სხვაობა 2513-ია, წლის ბოლოს ეს ციფრი 5 ათასი იქნება და ასეა ყოველწლიურად – 5 ათასი ადამიანით მცირდება ქართველი ერი და საბოლოო ჯამში, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი, თავად განსაჯეთ.

ბანკის თაღლითი თანამშრომელი

ბათო ჯაფარიძე

როგორ ქრებოდა თანხები კლიენტების ბარათებიდან და როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე

რაც უფრო წინ მიდის ელექტრონული ტექნოლოგიები, მით უფრო იზრდება საფრთხე, რომ ვიღაცამ შესაძლოა, მოახერხოს და ჩვენი საბანკო ანგარიშები დააცარიელოს. ზოგადად, ადამიანების მცირე ნაწილს უდევს დიდი თანხა ბარათზე, მაგრამ მცირე ოდენობის თანხები ყველას აქვს და თუ ამ მცირეს ბევრს მოპარავთ, ბოლოს, საკმაოდ სოლიდური ოდენობა გამოვა. ბანკები ყველაფერს აკეთებენ, რომ კლიენტები დაიცვან, მაგრამ ხშირად ეს არც მათ გამოსდით. რაც ყველაზე საინტერესოა, ბანკები მაქსიმალურად ცდილობენ, დამალონ ისტორიები, რომლებიც მათი კლიენტების ანგარიშებიდან ფულის გაქრობას ეხება. ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა და ამიტომ, ბანკის დასახელებას არ ვაპირებთ, თუმცა მისი კლიენტები საქართველოს ათი ათასობით მოქალაქეა.

ყველაფერი უცნაურად დაიწყო – ერთ-ერთმა კლიენტმა ბანკს მიაკითხა და უთხრა, რომ მისი ანგარიშიდან 600 ლარი გაქრა. ერთი შეხედვით, ეს დიდი თანხა არ არის, მაგრამ ვიღაცისთვის 600 ლარი ერთი თვის სარჩოა. ბანკმა გადაამოწმა და... მომხმარებელს აუხსნა, რომ ბარათით მან ისარგებლა და ოქროს ბეჭედი შეიძინა. კლიენტი გაოცდა, მეტიც, გაოგნდა, მაგრამ ბანკი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ბარათით სწორედ მისმა მფლობელმა ისარგებლა. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე ბანკში უკვე სხვა მოქალაქე მივიდა და დაიჩივლა, რომ მისი ანგარიშიდან 2 000 ლარზე მეტი იყო გამქრალი. ბანკმა ისევ გადაამოწმა და ბარათის მფლობელს ამონაწერი უჩვენა, რომლთაც მან... ოქროს სამაჯური შეიძინა. ბარათის მფლობელი პოლიციაში წავიდა.

„მის გარდა, კიდევ რამდენიმე მოქალაქის განცხადება გვედო, ზოგს ბევრი მოპარეს, ზოგს – ცოტა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ თანხა ერთი კონკრეტული ბანკის ბარათებიდან იკარგებოდა ანუ იყო რაღაც, თუ ვიღაც ბანკში, რაც ამ ვინც ასეთ შედეგებს იწვევდა. საინტერესო ის გახლდათ, რომ ბანკი მზად იყო, ბოლომდე ეთანამშრომლა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ იკარგებოდა ფული და ამტკიცებდა, რომ თანხას მომხმარებლები ხარჯავდნენ. ეს ვერსია გამოძიებისთვის არაფრისმომცემი იყო, რადგან ვიღაც რომ 50 ლარის გამო განცხადებას დაგიწერს, იმას ნიშნავს, რომ მას ეს 50 ლარი სასიცოცხლოდ სჭირდება და რომ დაეხარჯა, განცხადებას არ დაწერდა. მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო ისიც, რომ დანახარჯი ძირითადად ორქოულობაზე მოდიოდა ანუ ხომ არ შეიძლებოდა, რომ თითქმის ყველა, ვინც ჩიოდა, წასულიყო და ოქრო-ბრილიანტი ეყიდა“, – გვიყვება ამ საქმის გამომძიებელი.

ბანკის აიტი სპეციალისტები ამ საქმეში ბოლომდე იყვნენ ჩართულნი, გამართულად მუშაობდნენ აღნიშნული ბანკის ბანკომატებზე დამონტაჟებული კამერებიც, მაგრამ ფული ბანკომატიდან არასოდეს იხსნებოდა. გამოძიება მცირე თანხებს „გაეკიდა“ ანუ მათ, რომლებითაც ოქროულობა არ იყიდეს და დაზარალებულების დაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანს თანხები მას შემდეგ დაეკარგა, რაც ერთ კონკრეტულ აფთიაქში წამალი იყიდა. სამართალდამცავებმა ბანკის თანამშრომლების პირადი საქმეები მოიძიეს და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ფარმაცევტი აღნიშნულ ბანკში ექვსი თვის წინ მუშაობდა. მისი დაკავება უხმაუროდ მოხდა და პირველივე დაკითხვაზე აღიარა, რომ ფულს იპარავდა, მაგრამ დიდ თანხებზე წარმოდგენაც არ ჰქონდა, მხოლოდ მცირე თანხას ხსნიდა. როგორ? თურმე, ძალიან მარტივად.

„როცა ვინმეს სურდა ბარათით გადაეხადა, ბარათს ვართმევდი, მეორე მხარეს სამ ციფრს ვიმახსოვრებდი, ბარათის მთლიან ნომერს კი მარტივად, პლასტელინზე დადებით ვიბეჭდავდი. შემდეგ, ბარათის ნომრითა და უკანა სამი ციფრით, პროგრამულად ვხსნიდი თანხებს, მაგრამ 100 ლარზე მეტი არასოდეს მომიხსნია. მეგონა, ასი ლარის გამო პოლიციაში არავინ წავიდოდა. თურმე, ვცდებოდი“, -განაცხადა დაკავებულმა და გამოძიებითაც დადგინდა, რომ ის დიდ თანხებს მართლაც არ ხსნიდა და რაც მთავარია, აბსოლუტურად ყველა დაზარალებული, რომელმაც მცირე თანხა დაკარგა, სწორედ ამ აფთიაქით სარგებლობდა. გამოდიოდა, მთავარი დამნაშავე თავისუფალი იყო (თუმცა, იმ ფარმაცევტს სასამართლომ 4-წლიანი სასჯელი მისცა) და სამართალდამცავებმა მისი ძებნა განაგრძეს.

„ბანკის ხელმძღვანელობაც აღიარებდა, რომ მათი რომელიმე თანამშრომლის გარეშე ასე ოსტატურად თანხები ვერ მოიხსნებოდა, მაგრამ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის თანამშრომელი, წარმოდგენაც არავის ჰქონდა. ძიება კი ყველა დეტალს იკვლევდა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ყველა დაზარალებულმა ბარათი ერთ კონკრეტულ ფილიალში აიღო ანუ დამნაშავე სწორედ იმ ფილიალის თანამშრომლებს შორის უნდა გვეძებნა. თანამშრომელთა რაოდენობა რვამდე შევამცირეთ, გამოვრიცხეთ დაცვა, დამლაგებლები, პერსონალი, რომლებსაც წვდომა არ ჰქონდათ კომპიუტერებთან და შესაბამისად, პროგრამაზე. დავიწყეთ ამ რვა ადამიანის შესწავლა, მაგრამ თითქოს ყველას უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდა“, – გვეუბნება გამომძიებელი.

ფილიალის მმართველი თავში ხელებს იცემდა, ყველა თანამშრომელი ჩემი შერჩეულია, თითოეულ მათგანზე პასუხისმგებელი მე ვარ, როგორც უნდა დამთავრდეს გამოძიება, სამსახურის დაკარგვა არ ამცდებაო. სამართალდამცავებს მისი სამსახური ნაკლებად ადარდებდათ, იმ დამნაშავის გამოაშკარავება სურდათ, რომელმაც უკვე ლამის 70 ათასი მოიპარა და მშვიდად აგრძელებდა მოპარვას. მცდელობის მიუხედავად, გამოძიება წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიდა, ვერც ბანკის აიტი სპეციალისტები ამბობდნენ რამეს. გამოძიება შეეცადა, ოქროს ბირჟიდან ვიდეოთვალის ჩანაწერები ამოეღო, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გამო, ისინი წაშლილი იყო. ძალოვნებს იმედი ჰქონდათ, რომ დამნაშავე ცდუნებას ვერ გაუძლებდა და ასეც მოხდა – მორიგი მსხვერპლი განყოფილებაში ლამის კივილით მივიდა, 29 ათასი მედო ბარათზე და გაქრაო. ბანკის მტკიცებით, ამ თანხის ოდენობის ოქროული სწორედ ოქროს ბირჟაზე იყო შეძენილი. ერთ საათში გამოძიებას ვიდეოჩანაწერები ჰქონდა.

„ჩანაწერებში ჩანდა ქალი, რომელსაც დიდი ლაბადა ეცვა ანუ სხეულის აღქმა შეუძლებელი იყო, ვერავინ იტყოდა, მსუქანი იყო ქალი თუ გამხდარი. თავსაფარი ისე ჰქონდა მოხვეული, სახე თითქმის არ უჩანდა, დავრწმუნდით, რომ ოქროულის საყიდლად ტელეფონის გარეშე იყო შესული ანუ მან იცოდა, რომ პოლიციას ტელეფონით მისი ვინაობის გარკვევა შეეძლო. რაც მთავარია, ის მშვიდად ირჩევდა ოქროულს, შემდეგ კი, ბარათით იხდიდა და კოდიც ისე მშვიდად შეჰყავდა, თითქოს მისი ფული იყო. ქალის ამოცნობა ფილიალის მმართველმაც ვერ შეძლო, მხრები აიჩეჩა, თავისთვის ისიც კი ჩაილაპარაკა, მე რომ ჩამაცვა ასე, საკუთარი თავის ამოცნობა გამიჭირდებოდაო“, – ამბობს გამომძიებელი.

სამართალდამცავებმა ყველა ქალი თანამშრომლის ტელეფონი გადაამოწმეს ანუ ხომ შეიძლებოდა, დამნაშავეს ტელეფონი ოქროს ბირჟასთან ახლოს დაეტოვებინა ავტომობილში, მაგრამ შედეგი ვერც ამან მოიტანა. სამუშაო საათები არ იყო და ვიღაცის ტელეფონი სახლში იყო, ვიღაცის – კაფეში, ვიღაცის ქალაქიდან შორს. გამომძიებლებმა დაზარალებულების მიერ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების შესწავლა დაიწყეს. როგორც წესი, ბანკის ხელშეკრულებები იმდენად წვრილი შრიფტით წერია ხოლმე, ნახევარზე მეტმა არ იცის, ხელს რაზე აწერს. სწორედ ხელშეკრულებების დეტალური შესწავლის შემდეგ დაიწყო კვანძის გახსნა და ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ გენიალური სქემის გაშიფვრა.

როგორც აღმოჩნდა, ხელშეკრულება ე.წ. საოჯახო ბარათებზე იყო გაფორმებული, რის შესახებაც კლიენტებმა არაფერი იცოდნენ ანუ, მზადდებოდა 2 ბარათი ოჯახის წევრებისთვის, ერთით, მაგალითად, ცოლი სარგებლობდა, მეორით – ქმარი და წესით, ანგარიშზე განთავსებული თანხის განკარგვა ორივეს შეეძლო. მზადდებოდა ორი ბარათი, მაგრამ კლიენტს აძლევდნენ ერთს, მეორეს იტოვებდა ბანკის თანამშრომელი თავისი პინკოდით და მარტივად იგებდა, რა თანხა იყო ანგარიშზე ისე, რომ მეორე ბარათის მფლობელს წარმოდგენაც არ ჰქონდა. როგორც კი დიდ თანხას ნახავდა, ოქროულს ყიდულობდა. ყველა კონტრაქტზე ბანკის ფილიალის მართველის ხელმოწერა იყო და რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები მის დასაკავებლად წავიდნენ.

„იდიოტი ვარ, იდიოტი. ბრალს მხოლოდ იმაში თუ დამდებთ, რომ ცუდი მმართველი ვარ. ხელმოწერა ჩემია, მაგრამ კონტრაქტი ჩემთან ოპერატორებს შემოაქვთ, ისინი ადგენენ ხელშეკრულებას და არასდროს ვკითხულობ, ხელს ისე ვაწერ. აი, შედეგიც. უბრალოდ, კონტრაქტებზე ციფრი წერია პირველ ფურცელზე, რითიც ვხვდებით, ვისი შედგენილია ანუ რომელი ოპერატორის. ეს ოპერატორი პირველ მაგიდასთან ზის“, -განუცხადა ფილიალში მისულ გამომძიებლებს მმართველმა.

პირველ მაგიდასთან არავინ იჯდა, როგორც დანარჩენებმა თქვეს, გამომძიებლების შესვლის შემდეგ, გოგონა ადგა და დაიბარა, 2 წუთში შემოვალო. რა თქმა უნდა, მასზე მაშინვე ძებნა გამოცხადდა და საპატრულო ეკიპაჟმა ფილიალიდან ორ კილომეტრში მისი დაკავება მოახერხა.

„არაფერს ვნანობ. ბანკში მათხოვრული ხელფასი მაქვს, ისინი კი, თვეში 20 და 30 ათასს ხარჯავდნენ. აბა, მანახეთ, რომელიმე გაჭირვებული, ვისი თანხაც მოვიპარე“, -განაცხადა გოგონამ დაკითხვაზე, მაგრამ რაღა თქმა უნდა, სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა, ბანკმა კი... საოჯახო ბარათები ხმარებიდან ამოიღო.

ბათო ჯაფარიძე

დაახლოებით, 30-35 წლის წინ, მამაჩემის მეგობარმა სამართალდამცავმა პენსიაზე გასვლის შემდეგ თქვა, როგორც იქნა, დავისვენე, ლამის 40 წელია, ტყვიის ქვეშ ვარ, სახლიდან გამოსული, არ ვიცი, უკან ცოცხალი შევალ თუ არა, ახლა ყველაფერი დასრულდაო. მაშინ ძალიან გამიკვირდა მისი სიტყვები, რადგან მართალია, ჩინი მაღალი ჰქონდა, მაგრამ არასდროს გამეგო, ვინმე დაეკავებინა, სროლაში მოყოლილიყო... მერე და მერე, გვიან მივხვდი, პოლიციელის პროფესია ძალიან სახიფათო რომ იყო და ისინი ჩვენი უსაფრთხოებისთვის, სიცოცხლეს ყოველდღიურად იგდებდნენ საფრთხეში. ისტორიას ისიც ახსოვს, ციხიდან გამოსულ დამნაშავეს ბოღმა სწორედ მის დამკავებელ ძალოვანზე ამოუნთხევია და შურისძიების მიზნით, თუ არ (ან ვერ) მოუკლავს, დაუჭრია. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, სამწუხაროდ, არაერთი ანალოგი აქვს, მაგრამ საბედნიეროდ, ხშირად არ ხდება. თავიდანვე გეტყვით, რომ საქმეს იმდენად მოულოდნელი ფინალი ჰქონდა, მრავლისმნახველი გამომძიებლებიც კი პირდაღებულები დარჩნენ. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, ვინ იყო რეალური დამნაშავე და ვინ იდგა ყველაფრის უკან.

საშიში რეციდივისტი, რომელიც ქალებს აუთოვებდა და დანით სხეულს უჩხვლეტდა

გახმაურებული საქმის მოულოდნელი დასასრული

80-იანი წლების დასაწყისში, სამართალდამცავებმა ძალიან საშიში დამნაშავე დააკავეს. მას ბრალად ყაჩაღობების სერია და მკვლელობა ედებოდა. გამოძიებით დადგენილი იყო, რომ მას სიამოვნებას ქალებზე ძალადობა ანიჭებდა და საჭიროებაც რომ არ ყოფილიყო, ცდილობდა, ტკივილი სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის მიეყენებინა – დაეუთოვებინა, დანით სხეული დაეჩხვლიტა, ცეცხლმოკიდებული ცელოფნის წვეთებით სხეულზე ეთამაშა. მას დახვრეტა მხოლოდ იმიტომ არ მიუსაჯეს, რომ მის მიერ მოკლულიც კრიმინალი იყო, თორემ მშვიდობიანი მოქალაქე რომ ყოფილიყო, აუცილებლად დახვრეტდნენ. მისი დაკავებით მძიმე დანაშაულების სერია შეწყდა, თუმცა დაკავებულმა, ორ წელიწადში, ძალოვნებს თავი ისევ შეახსენა. აღნიშნული საქმის გამომძიებლის შვილი საბავშვო ბაღიდან მოიპარეს. როცა ბავშვები გარეთ ჰყავდათ, ძიძა კოლეგასთან საუბრით გაერთო, მერე კი, როცა სადილის დრო მოვიდა და ბავშვები მაგიდებთან დასვეს, აღმოაჩინეს, რომ ერთი აკლდათ. აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ, მაგრამ ვერაფერი რომ გაარკვიეს, მილიციაში დარეკეს და რაღა თქმა უნდა, ადგილზე პირველი გამომძიებელი მივიდა. ყველას ეგონა, რომ ბავშვი ღობეში გაძვრა, ახლო-მახლო ტერიტორია მოიარეს, თუმცა დაახლოებით, ორი საათის შემდეგ სამართალდამცავებმა ზუსტად იცოდნენ, რა ხდებოდა – იმ საქმის პროკურორის კაბინეტში, რომლითაც რეციდივისტი „სროკზე“ გაუშვეს, ტელეფონმა დარეკა და ვიღაცამ მოგუდული ხმით თქვა – ან რეციდივისტს გარეთ გამოუშვებთ, ან გამომძიებლის შვილის სხეულს ნაწილ-ნაწილ, ყუთებით მიიღებთო...

მთელი სისტემა ფეხზე დადგა – შსს, პროკურატურა, უშიშროება... ეს არ იყო რიგითი საქმე, ეს გამოწვევა გახლდათ და ბავშვის გადარჩენა, რეციდივისტის ციხეში დატოვება და გამტაცებლის დაკავება ღირსების საქმე იყო. დაცვის ქვეშ აიყვანეს იმ საქმის პროკურორის, მოსამართლისა და ადვოკატის ოჯახის წევრებიც კი. დაიწყეს გასამართლებულის გარემოცვის შესწავლა, ვის შეიძლებოდა, გაებედა ასეთი რამის გაკეთება, მაგრამ ვერავის მიაგნეს. სამინისტროში დაიბარეს იმ კოლონიის დირექტორი, სადაც რეციდივისტი იხდიდა სასჯელს და ჰკითხეს, ბოლო თვეების განმავლობაში დაკავებულთან საეჭვო პირები ხომ არ იყვნენ, ვინმე ძველმა მეგობარმა ხომ არ მოინახულა. დირექტორმა დაბეჯითებით თქვა, მას შემდეგ, რაც ჩვენთან მოიყვანეს, ერთხელაც კი არავის მოუნახულებია, მაგრამ წერილები მოსდის და მათი შინაარსი საინტერესო რომ იყოს, აუცილებლად მეტყონენ, პატიმრებთან მისულ წერილებს კითხულობენ, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამთო. გამოითხოვეს ყველა წერილი და აღმოჩნდა, რომ მას ვიღაც წერდა და თაყვანს სცემდა. ჰო, რეციდივისტს და კრიმინალს ვიღაც ეთაყვანებოდა, წერდა, რომ მისი ქმედებებით აღფრთოვანებული იყო, რომ სურდა, უფრო ახლოს გაეცნო, რომ მოუთმენლად ელოდა, როდის გავიდოდა 15 წელი, რათა თავის კერპს შეხვედროდა. რა თქმა უნდა, წერილზე გამგზავნის მისამართიც იყო მითითებული და სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს – მისამართი იმ კორპუსის გვერდით სახლში იყო, სადაც რეციდივისტი ცხოვრობდა. სანამ ადგილამდე მივიდოდნენ, გაარკვიეს, რომ აღნიშნულ მისამართზე მამა-შვილი ცხოვრობდა, დედა გარდაცვლილი იყო. მამა რკინიგზაზე მეისრედ მუშაობდა, 16 წლის ბიჭი კი სკოლას ამთავრებდა. რა თქმა უნდა, მთავარი ეჭვმიტანილი მამა იყო, მაგრამ გამომძიებლებს ხელში გაბრაზებული ბიჭი შერჩათ.

„დიახ, მისით აღფრთოვანებული ვარ. მას არავისი ეშინოდა, მისი კი ყველას. რომ გავიზრდები, მეც მინდა, ჩემი ყველას ეშინოდეს და არ ვიყო მამაჩემივით მუდო, დილით რომ სამსახურში მიდის, საღამოზე დაღლილი მოდის და ნახევარი კილო ძეხვი და პური მოაქვს, მე სხვანაირი ცხოვრება მინდა“, – ყვიროდა ბიჭი და ცხადი იყო, ის ბავშვის გატაცებასთან კავშირში არ გახლდათ, რადგან ამას ფიზიკურად ვერ მოახერხებდა და აშკარად ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, როცა მოძალადესა და რეციდივისტზე აღმატებულ ხარისხში საუბრობდა.

რადგან ეს ვერსია გამოირიცხა, სამართალდამცავები დაზარალებულების ოჯახის წევრებზე გადაერთვნენ. ხომ შეიძლებოდა, ვინმეს მასზე შური ეძია და ამისთვის სურდა მისი გათავისუფლება, თანაც, გამტაცებელი ითხოვდა, რომ საშიში დამნაშავე გარეთ არა რამდენიმე დღეში, არამედ, ორ-სამ საათში ყოფილიყო. მას კი აუხსნეს, რომ პროცედურა ყველაზე კარგ ვარიანტში, ექვს საათს წაიღებდა, მაგრამ გამტაცებელი მეორე დღემდე რომ არ დაიცდიდა, ყველა ხვდებოდა. ის პერიოდულად სწორედ პროკურორის კაბინეტში რეკავდა და ყველა ჯერზე ქუჩაში მდგარი სხვადასხვა აპარატებიდან. ისიც კი იფიქრეს, რომ ტელეფონებთან ოპერმუშაკები დაეყენებინათ, მაგრამ მარტო დგომა საკმარისი არ იყო, მათ ეჭვმიტანილის საუბარიც უნდა მოესმინათ, რაც შეუძლებლად ჩანდა. სამაგიეროდ, დაზარალებულთა შორის ეჭვი გამოითქვა ერთ-ერთი გოგონას მამაზე, რომელიც რეციდივისტმა არა მარტო აწამა, არამედ, გააუპატიურა კიდეც. პროკურორმა გაიხსენა, რომ გოგოს მამა სასამართლოზე დაიმუქრა, ჩემი შვილის გამწარებას არ გაპატიებო. მეზობლებმა დაადასტურეს, რომ მამაკაცი ბოლო დროს მუდმივად ავტოფარეხში იყო და კარს არავის უღებდა, შიგნით არავის უშვებდა და გულჩათხრობილი გახდა. ოპერმუშაკებმა მას სწორედ ავტოფარეხში მიაგნეს, სადაც კედელზე... კოლონიის სქემა ჰქონდა დახაზული და გამწარებული კაცი ფიქრობდა, როგორ უნდა შეეღწია შიგნით და როგორ მოეკლა შვილის გამამწარებელი, რაც რეალურად, ფანტასტიკის სფერო იყო.

გამომძიებლებმა რეციდივისტის ცოლის დაკითხვა გადაწყვიტეს. წარმოშობით სლავმა ქალმა ძალოვანი უწყების თანამშრომლების დანახვაზე უსიამოვნოდ შეიკურთხა, შემდეგ გამომძიებლებს შინ შეუძღვა და ღვარძლიანად უთხრა – „რის სანახავად მოხვედით? როგორც ცხოვრობს ქალი, რომელსაც ქმარმა ცხოვრება დაუნგრია? ვინ გამოიხედავს ახლა ჩემსკენ? ვის ვეგონები ნორმალური, ასეთი კაცის გვერდით მთელი 8 წელი რომ ვიცხოვრე? ნეტავ, ისე ჩაძაღლებულიყო, არავის არაფერი გაეგო. მე რა ვიცი, ვის შეიძლება სურდეს მისი გარეთ გამოსვლა? მეგობრები, პრაქტიკულად, არ ჰყავდა, მტრები – აშკარად ბევრი გაიჩინა“...

სწორედ ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – რეციდივისტი, რომლის დროებით გაშვებაზე უკვე მოლაპარაკებები იყო დაწყებული, ერთ-ერთმა ბადრაგმა... მოკლა. გაოგნებულმა ოპერმუშაკებმა ბადრაგი დააკავეს.

„ჩემი ოჯახიც დააყაჩაღა, ჩემს დასა და დედაჩემს ცხოვრება დაუნგრია, ორივე გააუპატიურა, სახეები დაუსერა, დაწვა, დაამახინჯა. სამხედრო ვარ, ერთი წლის წინ საბადრაგოში საკუთარი სურვილით გადმოვედი. ვერ ვწყვეტდი, მომეკლა თუ არა, არ ვარ მკვლელი, ახლა კი მივხვდი, რომ შეიძლებოდა, გარეთ აღმოჩენილიყო და მოვკალი“, – განაცხადა დაკავებულმა.

ეს მდგომარეობას რადიკალურად ართულებდა. ახლა, გასაშვებიც არავინ იყო და სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, ვინმე მისი მსგავსი ეპოვათ, სახე კაშნეთი დაეფარათ, მაგრამ ამ დროს იმ უბნის რწმუნებულმა, სადაც რეციდივისტის ცოლი ცხოვრობდა, საინტერესო ინფორმაცია მოიტანა. აგენტმა თქვა, დღეს ქალი შინ ბავშვით დაბრუნდა, ბავშვი ჭირვეულობდა, ტიროდა, ყურადღება ამიტომ მიიქცია, წყვილს კი შვილი არ ჰყავდაო. ოპერჯგუფი მაშინვე მის საცხოვრებელ ადგილზე გავიდა. ქალმა კარი ისევ მშვიდად გააღო, მაგრამ როცა მის ბინაში ოპერები შევარდნენ, საძინებლისკენ გაიქცა ყვირილით, მაგრამ არ გაუშვეს. საძინებელში, ხელ-ფეხ და პირშეკრული ბავშვი ლოგინის ქვეშ იყო შეგორებული.

„ქმრის დაჭერის შემდეგ, რამდენჯერმე ვცადე ცხოვრების ახლიდან დაწყება, მაგრამ როგორც კი იგებდნენ, ვინ ვიყავი, ახლოს არავინ მეკარებოდა. მე კიდევ გვერდით მამაკაცი მჭირდება, არ შემიძლია სხვანაირად. ამიტომ, მოვიფიქრე ის, რაც მოვიფიქრე. მეუბნებით, რომ მოკლეს? მეტის ღირსია, ასეთ დღეში რომ ჩამაგდო“, – განაცხადა ქალმა.

სასამართლომ ქალს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბადრაგსაც 8 წელი ერგო, რადგან სამსახურეობრივი მოვალეობის დროს სენტიმენტების ადგილი საბჭოთა სამართალში არ იყო. პრინციპში, არც ახლა არის.

ტრეფიკინგის ბრალდებით, პოლიციამ საქართველოსა და უცხოეთის ოთხი მოქალაქე დააკავა

ტრეფიკინგის ბრალდებით, პოლიციამ საქართველოსა და უცხოეთის ოთხი მოქალაქე დააკავა, რომლებიც დაზარალებულებს, მათ შორის, შშმ პირს, ფსიქოლოგიური ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, მოწყალების თხოვნას აიძულებდნენ

სამართალდამცავებმა, ტრეფიკინგის ბრალდებით, საქართველოსა და უცხო ქვეყნის ოტხი მოქალაქე დაკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დაკავებულებიდან ორმა პირმა ადამიანებით ვაჭრობის გეგმა შეიმუშავა და ისინი დაზარალებულებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ფსიქოლოგიური ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, თბილისში, სხვადასხვა ადგილას მოწყალების თხოვნას აიძულებდნენ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი დააკავეს.

1983 წელს დაბადებული მ.მ.; 1993 წელს დაბადებული ს.ა.; 1961 წელს დაბადებული ბ.ც. და 1978 წელს დაბადებული პ.წ., ტრეფიკინგის ბრალდებით არიან დაკავებულები.

დაკავებულებს შორის არიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დანაშაული 12-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა – 1983 წელს დაბადებულმა მ.მ.-მ და 1993 წელს დაბადებულმა ს.ა.-მ ადამიანებით ვაჭრობის გეგმა შეიმუშავეს.

აღნიშნული გეგმის სისრულეში მოყვანისა და შრომითი ექსპლუატაციის გაწევის მიზნით, დაზარალებულებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ფსიქოლოგიური ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, თბილისში, სხვადასხვა ადგილას, მოწყალების თხოვნას აიძულებდნენ, ამ გზით მოპოვებულ ფულად თანხას კი ისაკუთრებდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები ბრალდებულების მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდნენ, მათ სიტყვიერად და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში, მათ დახმარებას უწევდნენ ბრალდებულები – 1961 წელს დაბადებული ბ.ც. და 1978 წელს დაბადებული პ.წ., რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ დაზარალებულების „სამუშაო“ ლოკაციებზე გაყვანასა და შემდგომ უკან, მოძალადეებთან დაბრუნებას. ასევე, დღის განმავლობაში, მათ გაკონტროლებას და ზედამხედველობას.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის საქმეზე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს მეგის ქარდავას თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს მეგის ქარდავას თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 60 000 ლარის გაფლანგვაში ბრალდებული მ. ქ. დამნაშავედ სცნო.

„სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2011 წლის სექტემბერში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მიმართ გამოგონილ ე.წ „ჯაშუშობის“ საქმეზე მიმდინარე გამოძიებისას, თავდაცვის სამინისტროს ბუღალტერიიდან, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის იმჟამინდელმა მოადგილე მ.ქ.-მ, სხვადასხვა დროს, 60 000 ლარი გაიტანა.

ხსენებული თანხების მისაღებად ხელოვნური საფუძვლის შესაქმნელად, 2011 წლის სექტემბერში, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრისა და მისი მოადგილის დახმარებით, ყალბი დოკუმენტები შეიქმნა, რომლის თანახმადაც, სამინისტროდან გაცემული თანხები, თითქოსდა, ე.წ „ჯაშუშობის“ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისთვის გამოიყენებოდა.

სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 60 000 ლარი, რომელიც მ.ქ.-ს მართლზომიერ განკარგულებაში იმყოფებოდა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ გამოყენებულა და ამ უკანასკნელის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა.

მ.ქ.-ს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს სხვისი დიდი ოდენობით ნივთის ან ქონების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სასამართლომ მ.ქ.-ს 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენებით, მსჯავრდებულს შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით განესაზღვრა, მასვე ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება 6 თვის ვადით.

აღსანიშნავია, რომ მ.ქ. არაერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდა მიმალვაში და მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოცხადებული იყო ძებნა. საბოლოოდ, 2021 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოში მსჯავრდებულის ექსტრადირება განხორციელდა.

მ.ქ.-ს მიმართ საქართველოში არსებული 11 სისხლის სამართლის საქმიდან 6-ზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 5 სისხლის სამართლის საქმე იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში“, – ნათქვამია განცხადებაში.

როცა გეუბნებიან, რომ წაგება კარგია...

ნორვეგია-საქართველოს შეხვედრაზე ბევრი დაიწერა, უფრო ბევრი ითქვა და... სანაკრებო ბატალიები ჩვენ 15 ოქტომბრამდე დაგვემშვიდობა, 15-ში კი, საქართველო თემურ ქეცბაიას კვიპროსს მასპინძლობს. ძალიან, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ კვიპროსს საკუთარ კედლებში დავამარცხებთ (გასვლაზე დავამარცხეთ) და სამწვრთნელო შტაბი იტყვის, ბოლო ორი წაგებიდან სერიოზული დასკვნები გამოვიტანეთ, ყველაფერი უკან დარჩაო. რეალურად კი, სწორედ ესპანეთთან და ნორვეგიასთან შეხვედრებში გამოჩნდა, რომ ვილი სანიოლი რიგითზე რიგითი მწვრთნელია, ტაქტიკა-სტრატეგიაში რამე ახლის მოფიქრება და რაც მთავარია, მატჩის მსვლელობისას რამეს შეცვლა, უბრალოდ, არ შეუძლია და ერთი ჩვენი კოლეგის თქმის არ იყოს, ასეთი უცხოელის მოწვევა რად გვინდოდა, რეკორდულ მარცხს ადგილობრივი კადრებითაც გადასარევად მოვახერხებდით.

არაფერს ვამბობთ ესპანეთთან კატასტროფულ და ყველა დროის რეკორდულ შერცხვენაზე. მართლა გვეგონა, რომ ნორვეგიასთან მატჩში, სანიოლი რამე ახალს მოიფიქრებდა, ბიჭებს ფსიქოლოგიურად მოამზადებდა, მით უმეტეს, ამისთვის ინგლისელი სპეციალისტი დავამატეთ სანაკრებო შტაბს და... ის, რაც ნორვეგიაში ვიხილეთ, იყო უსუსური ნაკრების უსუსური ასპარეზობა. მეტიც, მაშინ, როცა მეტოქე 2:0-ს იგებდა და ბურთი საკუთარ მოედანზე ჰქონდა, ჩვენები არ ცდილობდნენ ასვლას, წართმევას, ქტიურობას. ისინი მყარად იდგნენ დაცვაში და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ რაც შეიძლება, ნაკლები გოლი გაეშვათ, თორემ წაგებას შეგუებულები იყვნენ. ნორვეგიელთა თავკაცმა ნამატჩევს თქვა, საქართველოსგან ბევრად მეტ შეტევას ველოდით და გაგვიკვირდა, ქართველები რომ არ გვიტევდნენ, ბურთის წართმევას რომ არ ცდილობდნენო. ჰო, მეტოქის მწვრთნელმა თქვა, გამიკვირდაო და რიგითი გულშემატკივარი რა დღეში იქნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ. სამაგიეროდ, ნამატჩევს ფრანგი სპეციალისტი ამაყად ამბობდა, შოკიდან გამოვედით და რომ გაგვმართლებოდა, არ წავაგებდითო.

ვინმე აგვიხსნის, რატომ უნდა გაგვმართლებოდა? იერიშები მივიტანეთ და იმათმა მეკარემ თავი გაიგიჟა, თუ კარისკენ იმდენი ვურტყით, სათვალავი აგვერია? სანიოლი ვერ იტყვის, ფეხბურთელები არ მყავსო, რადგან ზედიზედ ორი მატჩი, სერია A-ს მცველი თადარიგში რომ გიზის, გამოდის, ფართო არჩევანი გაქვს. მატჩამდე ყველა ამბობდა, თუ ფრანგი დაცვაში ისევ კვირკველიასა და კაშიას დააყენებს, ერლინგ ჰალანდი გოლს აუცილებლად გაიტანს, რადგან ასაკში მყოფ მცველებს გასული სეზონის პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელთან და ბომბარდირთან გამკლავება გაუჭირდებათო. ამას ამბობდა ყველა, მაგრამ სანიოლმა მაინც ეს დუეტი აირჩია და ჰალანდმაც გაგვიტანა...

ახლა, ერთადერთი საფიქრალი ერთა ლიგის პლეიოფებია, საიდანაც ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი გვაქვს. ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულია, სანიოლს პასუხისმგებლობა დააკისროს, რამე შეცვალოს, ცოტა მკაცრად დაელაპარაკოს, თორემ ისე გამოდის, რომ ფრანგი სპეციალისტი 1:2 წაგებით კმაყოფილია და უნდა, რომ ჩვენც კმაყოფილები ვიყოთ.

P.S. საქართველო-ესპანეთის მატჩში, ალვარო მორატამ გიორგი მამარდაშვილს 3 გოლი გაუტანა. შაბათს, მამარდაშვილის „ვალენსია“ მორატას „ატლეტიკოს“ ესპანეთის პრიმერადივიზიონის მეხუთე ტურში შეხვდა. წუთის განმავლობაში უტევდა მორატა, კარშიც დაურტყა რამდენჯერმე, მაგრამ „ვალენსიამ“ შეხვედრა 3:0 მოიგო. როგორ გგონიათ, მამარდაშვილმა თბილისში ვერ ითამაშა და ესპანეთში გაიგიჟა თავი? არა, უბრალოდ, ესპანეთის პრიმერაში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ დაცვად აღიარებულ „ვალენსიასაც“ კი, საქართველოს ნაკრების მცველებზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს.

საკალათბურთო ნაკრებში ზუროსის ეპოქა დასრულდა

„ილიას ზუროსზე დიდხანს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი არავინ ყოფილა და არც მასზე დიდი შედეგისთვის მიუღწევია ვინმეს. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობის წარმატებები იყო თავის დროზე B-დან A დივიზიონში გადასვლა, ევროპის ჩემპიონატზე პირველად და მას შემდეგ, ზედიზედ ოთხჯერ გასვლა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა პირველი და უპრეცედენტო შედეგია, რომელიც საქართველოს ნაკრებმა ილიას ზუროსის ხელმძღვანელობითა და სამწვრთნელო შტაბის დახმარებით მოახერხა“, – წერია კალათბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მართლაც, ბერძენმა სპეციალისტმა, რომლის მოხსნასაც არცთუ იშვიათად ითხოვდა ქართველი გულშემატკივარი, აქამდე შეუძლებელი შეძლო და ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშა, ჯგუფიდანაც გაიყვანა და საუკეთესო 16 გუნდშიც მოახვედრა. ეს ძალიან, ძალიან კარგია, მაგრამ პროგრესი გვჭირდება და მიღწეულის მიუხედავად, ნათლად ჩანდა, რომ ზურისის ხელში ნაკრები დამუხრუჭდა, ველარ ვითარდებოდა, წინ ვერ მიიწევდა და ცხადია, დღის წესრიგში ახალი სისხლის საჭიროება დადგა. კარგია, რომ ამას ფედერაციაც დროზე მიხვდა და იმედია, ზუროსის შემცვლელი ღირსეული იქნება, ისეთი, რომელმაც მსოფლიოს 16 საუკეთესო ნაკრებს შორის მყოფი საქართველოს ეროვნული გუნდი უნდა ჩაიბაროს.

„ბოლო რვა წელი ჩემთვის ფანტასტიკური მოგზაურობა იყო. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას საოცარი მოგონებებისთვის. მადლობას ვუხდი საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, ნდობისა და მხარდაჭერისთვის! წლების განმავლობაში, ნიჭიერ მოთამაშეებთან მუშაობა და განვითარება იყო პრივილეგია. ვგრძნობ, რომ ეს იყო პატივი, რადგანაც წარმოვადგენდი ასეთ მშვენიერ და ლამაზ ქვეყანას. ყველა შრომამ და მსხვერპლმა შედეგი გამოიღო და მსოფლიოს ტოპ-16 ქვეყანაში მოხვედრა აჩვენებს, რომ დისციპლინასა და მიზანზე ფოკუსირებას ასეთი შედეგის მოტანა შეუძლია. ყველას წარმატებას ვუსურვებ მომავალში და მოუთმენლად ველი ახალ გამოწვევებსა და სხვა ისტორიების შექმნას“, – ეს უკვე ილიას ზუროსის საპასუხო განცხადებაა.

All in – „მანჩესტერი“, კვარაცხელიას გამო, ვა-ბანკზე წავა

ვინც პოკერის თამაში იცის, ისიც ეცოდინება, რას ნიშნავს All in. ეს მაშინ ხდება, როცა მოთამაშე მთელ თანხას ჩადის, ანუ ვა-ბანკზე მიდის. ჰოდა, ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი, მაიკ კიგანი წერს, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში, „მანჩესტერ იუნაიტედი“ All in-ს ხვიჩა კვარაცხელიაზე გააკეთებს და მის შესაძენად სალაროს დაცარიელებისაც კი არ შეეშინდება.

საქმე ის გახლავთ, რომ ახალი სეზონი მანჩესტერელებმა დამაჯერებლად ვერ დაიწყეს, საწყის ოთხ ტურში, ორი მოგების წილ, ამდენივე მარცხი აქვთ და რაც მთავარია, ოთხ ტურში მხოლოდ 5 გოლის გატანა მოახერხეს. ამასთან, კლუბის ორი შემტევის, ანტონისა და სანჩოს მომავალი გაურკვეველია, თავად ფეხბურთელებმაც კი არ იციან, სურთ თუ არა გუნდში დარჩენა, კვარაცხელია კი ის მოთამაშეა, რომელსაც არა მარტო ლიდერობა შეუძლია, არამედ, სტადიონზე გულშემატკივართა მიყვანაც. მით უმეტეს, დისციპლინის დარღვევის გამო, კლუბს სანჩო დასჯილი ჰყავს, ის მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე წერს, რომ უსამართლოდ ექცევიან და განტევების ვაცად აქციეს.

როგორც ინგლისური მედია ამტკიცებს, ერთ-ერთ მთავარ როლს, მანჩესტერელთა ფინანსური შეთავაზება ითამაშებს. ბრიტანელები მზად არიან, კვარაცხელიას წლიურად 10 მილიონი გადაუხადონ, რაც მის ამჟამინდელ ჯამაგირზე ლამის ათჯერ მეტია და ამასათან ერთად, თუ ინგლისელები აურელიო დე ლაურენტისის მადას დააკმაყოფილებენ და ფულს არც ტრანსფერში დაინანებენ, გარიგება აუცილებლად შედგება.

ქართველმა ქალებმა მსოფლიო მოიგეს

ბელა ხოტენაშვილი, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია – პოლონეთის ქალაქ ბიდგოსჩში მიმდინარე ქალთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე მოჭადრაკეთა შორის, სწორედ ამ ქალბატონებმა მოიპოვეს გამარჯვება. საქართველოს ნაკრებმა ფინალურ დაპირისპირებაში, ყაზახეთის გუნდს ორივე შეხვედრა მოუგო.

არადა, ბოლო წლებში, ქართველმა ქალებმა საჭადრაკო სამყაროში პოზიციები თითქოს დათმეს და ეს მაშინ, როცა მსოფლიო ჭადრაკის ცოცხალი ლეგენდა, ნონა გაფრინდაშვილი, ვეტერანთა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატს იმდენჯერ იგებს, რამდენჯერაც იმართება. ქართველი ქალბატონების გუნდს დავით ჯოჯუა კაპიტნობდა და იმედი გვაქვს, მსოფლიოს ჩემპიონის მედლები ჭადრაკის განვითარებას საქართველოში ახალ ბიძგს მისცემს.

მესიმ ფლორიდაში ახალი სახლი იყიდა

ფლორიდაში, ფორტ ლოდერდეილის ბინადრებს ახალი მეზობელი ჰყავთ. ლიონელ მესიმ 10.8 მილიონ დოლარად ზღაპრული ვილა შეიძინა და მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად, სწორედ იქ იცხოვრებს. მესის ახალი სახლი სანაპიროზე მდებარეობს, აქვს ორი დოკი – ნავებისა და იახტებისთვის, დიდი აუზი, ათი საძინებელი, დიდი ავტოფარეხი – რამდენიმე ავტომობილისთვის. მართალია, მთლიანად ტერიტორია მხოლოდ 1000 კვადრატულ მეტრზეა განლაგებული, მაგრამ ეს უბანი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება და ესეც არ იყოს, აღნიშნული ვილა არ არის ერთადერთი უძრავი ქონება, რომელიც ლეოს მაიამიში აქვს. მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი მაიამიში, „პორშე დესინგ თაუერში“ აქვს, რომელშიც 2018 წელს, ლეომ 8 მილიონი გადაიხადა, ახლა კი ამ უძრავი ქონების ფასი 15 მილიონს აჭარბებს. „პორშე დესინგ თაუერის“ ყველაზე საინტერესო და გამორჩეული დეტალი ავტომობილებისთვის განკუთვნილი ლიფტია, რომლითაც ადამიანს... პირდაპირ ბინაში შეუძლია ასვლა.

ჯოკოვიჩმა ამერიკის ღია პირველობა მოიგო

სამწუხაროა, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩი 36 წლისაა და უნდა თუ არა, ორ-სამ წელიწადში, კარიერას დაასრულებს. დიდი მუზარადის ტურნირებზე მოგებული ტიტულების მიხედვით, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელმა, ამჯერად, ამერიკის ღია პირველობაზე არავის არაფერი დაუთმო და დანილ მედვედევი დაჩაგრა. ეს ნოლესთვის კარიერის 96-ე ტიტული გახლავთ, ხოლო მხოლოდ დიდი მუზარადის ტურნირებს თუ დავითვლით, 24-ეა.

მედვედევთან დაპირისპირება ჯოკოვიჩისთვის პრინციპული იყო, რადგან ბოლოს, ამერიკის ღია პირველობაზე ფინალი, სწორედ მედვედევთან წააგო და ახლა რევანში სწყუროდა. არადა, ის ფინალი რომ მოეგო, ისტორიულ შედეგს მიაღწევდა – სეზონში ოთხივე დიდ სლემს გაიფორმებდა. მაშინ ნოვაკი მარცხის შემდეგ მწარედ ატირდა... ჯოკოვიჩმა ცრემლები ახლაც გადმოყარა, მაგრამ ეს განსხვავებული ცრემლი იყო...

შარლ ბოდლერის პროზაული ჩანაწერები

ბებერი ჯამბაზი

სასეირნოდ გამოსული ბრბო ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო მოედანზე და მხიარულობდა. ეს იყო ნამდვილი საახალწლო დღესასწაული, რომლის დადგომაზეც წინასწარ ოცნებობენ ყოველი ჯურის კომედიანტები, ჯამბაზები, მხეცთა მგეშავნი და მეწვრილმანენი იმ იმედით, რომ აინაზღაურებენ მთელი წლის დანაკლისს.

ასეთ დღეებში, როგორც ჩანს, ხალხს ავიწყდება ყველაფერი – სადარდებელიც და საზრუნავიც. ყველანი ბალღებს ემსგავსებიან – ბალღთათვის ეს დღე ხომ შვების დღეა, სკოლის დავიდარაბისგან განთავისუფლებაა მთელი დღე-ღამით. მოზრდილთათვის კი, ეს ზავია ცხოვრების მტრულ ძალებთან დადებული, თავის დაღწევაა გამუდმებული დაძაბულობისა და ბრძოლისაგან.

თვით საზოგადოებაში გამოსული კაციც კი, ინტელექტუალური შრომით მცხოვრები, ჩაებმება ზოგჯერ ამ გადამდებ მხიარულების ფერხულში, ძალაუნებურად მასაც ჩაითრევს ხოლმე საყოველთაო უზრუნველობის ატმოსფერო. მეც, როგორც ჭეშმარიტ პარიზელს, არასოდეს გამიშვია შემთხვევა ქუჩის ამ სანახაობათა ჭვრეტისა, განსაკუთრებით, – უქმე დღეებში.

ირგვლივ, მართლაცდა, საშინელი კონკურენციის ატმოსფერო სუფევს: ისმის ღრიალი, ყმუილი, კივილ-წივილი. ეს ხმები სპილენძის გუგუნსა და აფეთქების ხმებს ერწყმიან, ჭრელაჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი მასხარები ათასგვარად მანჭავენ შავგრემან, ქარცემულ სახეებს, წვიმისა და მზისგან გაკაჟებულნი, დიდი მსახიობის აპლომბით ისვრიან ენამახვილ კალამბურებს, მოლიერის იუმორივით მძიმესა და სოლიდურს. ჩაფსკვნილი ძალოსნები ამაყობენ თავიანთი დაბერილი კუნთებით, ორანგუტანგისებური ჩაჭყლეტილი თავ-კისრით, გოროზად დააბიჯებენ წინადღით საგანგებოდ გარეცხილ შემოჭერილ რეიტუზებში. მოცეკვავე გოგონები ფერიების დარად დაცქრიალებენ ფარნების შუქზე, მათ ბრჭყვიალა კვედაკაბებზე რომ ირეკლება.

ყველგან სინათლე, სიხარული, ყაყანი, ციებ-ცხელებაა. ერთნი ფულს იხდიან, მეორენი – იხვეჭენ, თანაბარის ხალისით. ირგვლივ დიდი გამოცოცხლებაა. ბალღები დედის კალთებს ჩასჭიდებიან, სთხოვენ შაქარყინულს, ხანაც მამებს ასხდებიან მხრებზე, რათა უკეთ დაინახონ ილუზიონისტი, მათ თვალში – ბრწყინვალე ღვთაება.

აქ ყველა სხვა არომატს ახშობს ტაფაზე აშიშხინებული ერბოს სუნი, თითქოსდა, საკმეველიაო ამ დღესასწაულისა.

გერდულების რიგის ბოლოში დავინახე საბრალო ბებერი ჯამბაზი, მოკაკული, ძალმიხდილი, თითქოს სირცხვილით გამოქცევიაო ამ დიდებულ ზეიმს. ეს იყო რაღაც ნანგრევი ადამიანისა. იგი თავისი გახუნებული კარვის ერთ-ერთ სვეტს მიყრდნობოდა, ასეთი დაძენძილი კარავი არც ერთ დაჩლუნგებულ და გაუბედურებულ ველურს არ ექნებოდა. აქ ძლივსღა ბჟუტავდა ორი, თითქმის ბოლომდე დამწვარი სანთელი.

ყველგან სიამე, სიხარული, ღრიანცელი, ხვალინდელი დღის იმედი, ცხოველმყოფელი ხალისი. აქ კი, – უიმედობა, სიდუხჭირე, თანაც სიდუხჭირე ჯამბაზის ჩვრებში მორთული. თვით გაჭირვება ჰქმნიდა მყვირალა კონტრასტს, ყოველგვარი ხელოვნების გარეშე. ეს უბედური როდი იცინოდა?! იგი არც ტიროდა, არც ცეკვავდა, არც მღეროდა, ჟესტითაც არ ითხოვდა შველას. იგი უძრავად და უტყვად იდგა, დამორჩილებული ბედს, დაეყარა ფარ-ხმალი. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რა ღრმა, რა დაუვიწყარი მზერით ათვალიერებდა იგი ამ ბრბოს, ამ შუქურებს, რომელთა მორევი შეგუბებულიყო მისი დუხჭირი სადგომის მახლობლად!

ბოლმა მომაწვა ყელში, თვალები ცრემლით ამევსო, იმ ჯიუტი ცრემლით, რომელიც თითქოს არ ლამობსო თვალთაგან გადმოღვრას.

რა მექნა? ხომ არ მეკითხა ამ უბედურისთვის რა იშვიათობის, რა უცნაურობის ჩვენებას აპირებდა იგი,

იმ აყროლებულ ფარდულებთან, პატარა სცენაზე? მართალი გითხრათ, ვიდექი და ვყოყმანობდი, მეშინოდა, გული არ ვატკინო-მეთქი. ბოლოს, გადავწყვიტე, ცოტაოდენი ფული ჩამედო იმ იმედით, რომ სწორად გამიგებდა, მაგრამ ამ დროს რაღაც ალიაქოთი ატყდა, ბრბო დამეტაკა და წამიღო სხვა მხარეს. ბებერი ჯამბაზი დავკარგე თვალთაგან. უკან ვიხედებოდი, თან გულისტკივილით ვამბობდი: რა ვნახე ახლა? – განა, ეს მოხუცებული მწერლის ხატება არ იყო, თაობა რომ შემოეცლება, რომლისთვისაც იგი ბრწყინვალე გართობის წყაროს წარმოადგენდა?! განა, ეს მოხუცი პოეტი არ იყო, რომელსაც არც მეგობრები ჰყავს, აღარც – ოჯახი, აღარც – შვილები და რომელიც გაჭირვებამ, უმადურმა საზოგადოებამ სრულ დაცემამდე მიიყვანა და რომლის ფარდულშიც ამ გულმავიწყ და ცვალებად ხალხს აღარ უნდა შესვლა?!

თრობა

თრობას მიეძალე. თრობაა ყველაფერი. ეგ არის ხსნა ერთადერთი, რათა არ შეიგრძნო ამაზრზენი ტვირთი დროისა, რომელიც დაგცემს, წელში გაგტეხს. ჰოდა, ამადაც თრობას მიეძალე, გამოუნელებელს.

ჰო, მაგრამ რითი? – ღვინით, პოეზიით, სიქველით, რითიც გენებოს, ოღონდ იყავი მთვრალი.

და თუ ოდესმე კვლავ გამოფხიზლდები სასახლის კიბეზე, მდინარისპირა პატარა მდელოზე თუ შენი ოთახის შემზარავ სიმარტოვეში, მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის, ან დაქრის, კვნესის, ან მიედინება, ჰკითხე: რომელი საათია?

და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი მოგიგებენ: თრობის საათია! თრობის და თავდავიწყების, რათა არ ვეყმოთ, არ ვემონოთ დროს, არ შევიქმნათ მისი მარტვილნი.

ამიტომ მივეძალოთ დაუსრულებელს ღვინით, პოეზიით, ან სიქველით – წადილისამებრ.

სარკე

შემოდის კაცი უკიდურესად გულისამრევი გარეგნობისა და იხედება სარკეში.

„რად იყურებით სარკეში, განა, ვერ ხედავთ, რომ უსიამოვნების მეტს ვერაფერს იგრძნობთ ამის შედეგად?“

მახინჯი კაცი მპასუხობს: „ბატონო ჩემო, 1789 წლის უკვდავი პრინციპების მიხედვით, ყველა ადამიანი თანაბარია თავის უფლებებში. ასე რომ, მეც მაქვს უფლება სარკეში ჩახედვისა. რაც შეეხება სიამოვნებას თუ უსიამოვნებას, ეს ჩემი პირადი სინდისის საქმეა“.

საღი გონების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მე ვიყავი მართალი, მაგრამ კანონის თვალსაზრისით, არც ის იყო მტყუანი.

დედაბრის ვარამი

სახედანაოჭებული დედაბერი გაიბადრა ბუდრუგუნა ბალღის დანახვაზე. ამ მშვენიერ არსებას, მასავით უსუსურს, უკბილოს და უთმოს, ყველა თავს ევლებოდა.

იგიც მიეტანა ბალღს მოსაფერებლად, მაგრამ დამფრთხალი პატარა ხელიდან გაუსხლტდა მოხუცს, შეშინებული და აწივლებული.

მაშინ საბრალო მოხუცი კვლავ მიუბრუნდა თავის მარტოობას მარადჟამულს, ატირდა კუთხეში საწყალობლად და მოსთქვამდა:

„ვაი ჩვენ, საბრალო დედაბრებს, ხანგადასულებს, თოთო ბავშვებსაც რომ აღარ მოვწონვართ და ზიზღს ვგვრით მათ, ვისი სიყვარულიც გვწადია!“

ძაღლი და ფლაკონი

– ჩემო პატარა გოშიავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ცუგრუმელავ, მომიახლოვდი, დაგაყნოსვინო სურნელება ამ ნელსაცხებლის, ქალაქის საუკეთესო პარფიუმერთან რომ შევიძინე.

ძაღლი კუდის ქიცინით მომიახლოვდა, რაც, ჩემი ვარაუდით, ამ საბრალო არსებაში შეესაბამება ღიმილს თუ სიცილს და ცნობისმოყვარედ მიადო სველი დრუნჩი თავღია ფლაკონს. შემდეგ, უეცრად უკანვე გახტა შეშფოთებული და თითქოს მყვედრისო, ყეფა ატეხა.

– ო, უკუღმართო ძაღლო! ნაგვის ფუთა რომ მომეცა შენთვის, სიამით დაჰყნოსავდი და შესაძლოა, შეგესანსლა კიდეც. ასე რომ, ჩემი ნაღვლიანი ცხოვრების უღირსო მეგობარო, შენ ბრბოს ჰგავხარ, რომელსაც სათუთი არომატები როდი უნდა მიართვა, რაც მას აღიზიანებს, არამედ, კარგად შერჩეული უწმინდურება.

ფანჯრები

ის, ვინც ღია ფანჯრებში იყურება ქუჩიდან, ვერასოდეს შეიგრძნობს ყოველივე იმას, რასაც დაინახავთ ჩაკეტილ ფანჯარაში ცქერისას. არაფერია უფრო ღრმა, უფრო იდუმალი და მიმზიდველი, უფრო პირქუში და თვალისმომჭრელი, ვიდრე ფანჯარა, სანთლის შუქით განათებული შიგნიდან. ის, რასაც ვხედავთ მზის სინათლეში, სულაც არ არის იმდენად საინტერესო, როგორც ის, რაც ხდება მინის მიღმა. იქ მცირე, ჩაბნელებულ სივრცეებში ცხოვრებაა, ოცნებაა, ტანჯვაა ადამიანისა.

სახურავთა ტეხილებს ზემოთ, ფანჯარაში ვხედავ ხანში შესულ ქალს, სახედანაოჭებულს, ღატაკს, მუდამ რაღაცაზე წახრილს, რომელიც არასოდეს გამოდის სახლიდან. მისი სახის, ტანისამოსის, მოძრაობისა და რაღაც ოდნავ შესამჩნევი ნიშნების მიხედვით, შევიქმენი ჩემთვის ისტორია მისი ცხოვრებისა, უფრო სწორად, ლეგენდა მის შესახებ. ზოგჯერ მოვუთხრობ ჩემს თავს ამ ლეგენდას და ვტირი.

აქ რომ ღარიბი ბერიკაცი ცხოვრობდეს, მის შესახებ შევთხზავდი ასეთსავე ამბავს. მე ხომ ვამაყობ იმ შეგრძნებით, რომ მიცხოვრია სხვათა ტანჯვით, ჩემგან განსხვავებულ ადამიანთა ტანჯვით...

შესაძლოა, თქვენ მითხრათ: „განა, დარწმუნებული ხარ, რომ ეგ ლეგენდა შეეფერება სინამდვილეს?!“

აბა, რა მესაქმება მე სინამდვილესთან, რომელიც ჩემს გარეშეა მაშინ, როდესაც ჩემი ლეგენდა მეხმარება ცხოვრებაში – მაძლევს შეგრძნებას არსებობისას, ჩემივე თავისას...

ემბრიონი განაყოფიერების გარეშე მიიღეს

ისრაელში, ვეიცმანის ინსტიტუტის სპეციალისტებმა წარმატებას მიაღწიეს და ემბრიონი ხელოვნურად შექმნეს. არსებული ინფორმაციით, სწავლულებმა შეძლეს და 14 დღეში, ღეროვანი უჯრედებიდან ემბრიონის „მოდელი“ გამოზარდეს. ამასთან, „მოდელს“ აქვს ყველა საჭირო კომპონენტი და სისტემები, რაც ამ ვადაზე, ჩანასახს უნდა ჰქონდეს: პლაცენტა, ყვითელი პარკი (მემბრიონული ტომარა), ამნიონური ბუშტი და ნაყოფის ნორმალური განვითარებისთვის საჭირო კომპონენტები. მკვლევართა თქმით, ემბრიონს „მოდელი“ გენური ინჟინერიის შემდეგ უწოდეს, რომლის დროსაც, ერთ-ერთი გენი მოაცილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ემბრიონს არ აქვს გული ან ტვინი, შესაბამისად, ვერ იგრძნობს ტკივილს და ვერ განვითარდება, როგორც ადამიანი. ასე რომ, ეთიკისა და მორალის მხრივ, მასზე კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩატარება გამართლებული იქნება.

„კოკა-კოლა“ ხელოვნური ინტელექტისგან

კომპანია „კოკა-კოლა“ ახალ გაზიან სასმელს გამოუშვებს, რომლის რეცეპტი და შეფუთვის დიზაინი ხელოვნურმა ინტელექტმა შეიმუშავა. მას Y3000 ერქმევა და მიანიშნებს, რომ სასმელი შეიძლება 3000 წელს გამოვიდეს. „ვიმედოვნებთ, რომ 3000 წლისთვის, „კოკა-კოლა“ ისეთივე აქტუალური და მოთხოვნადი იქნება, როგორც ახლა, ამიტომ გადავწყვიტეთ, მომავლის გემოს კონცეფცია შეგვექმნა“, – აცხადებენ კომპანიაში.

ცნობილია მხოლოდ, რომ სასმელი უშაქრო იქნება, სხვა მახასიათებლებზე არაფერს ამბობენ. გაზიანი სასმელის ლიმიტირებული სერია გასაყიდად აშშ-ში, კანადაში, ჩინეთში, ევროპისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში გამოვა.

უნიკალური ცხოველი აღმოაჩინეს

ბრაზილიაში უნიკალური ცხოველი აღმოაჩინეს – ის პამპას მელიასა და შინაური ძაღლის ჰიბრიდია. სწავლულები აცხადებენ, რომ ველურ ბუნებაში პირველად ნახეს ასეთი ეგზემპლარი და მას Dogxim უწოდეს. უჩვეულო „ძაღლმელა“ ექსპერტებთან მას შემდეგ მოხვდა, რაც 2021 წელს, ის მანქანამ გაიტანა. ვეტერინარებმა დღემდე ვერ მოახერხეს დადგენა, რა იყო მათ წინაშე, რადგან შავ ლამაზმანს მელაკუდასა და ძაღლისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა. ცხოველი ძაღლივით ყეფს, ამავდროულად კი მას მელიასავით სახე და ბეწვი აქვს. ტესტების შედეგები სულ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი და დადგინდა, რომ ეს უნიკალური ცხოველია. მიუხედავად ადამიანების მიმართ შიშისა, „ძაღლმელა“ მათ მოფერების საშუალებას აძლევდა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ველურ ბუნებაში, შესაძლოა, კიდევ იყოს რამდენიმე ამგვარი არსება.

პარლამენტარებს „უცხოპლანეტელების“ მუმია აჩვენეს

მექსიკელმა უფოლოგმა, ხაიმე მაუსანმა ქვეყნის პარლამენტის დეპუტატთა პალატას ორი მუმია წარუდგინა – მისი თქმით, ისინი უცხოპლანეტელებს ეკუთვნით. მუმიები პერუში, ქალაქ ნასკას სიახლოვეს აღმოაჩინეს. ნაშთები პატარა ზომისაა, დიდი თავებით, სამთითა კიდურებით, მსუბუქი და მტკიცე ძვლებით, მაგრამ კბილების გარეშე. თითების ანაბეჭდები, უფოლოგის თქმით, მხოლოდ სწორი ჰორიზონტალური ხაზებია და არ არის მომრგვალებული, როგორც ადამიანების შემთხვევაში. ეს არსებები არ არიან ადამიანური წარმოშობის და არ ეკუთვნიან დედამიწის ცივილიზაციას – აცხადებს მაუსანი. რადიონახშირბადული ანალიზის მიხედვით, რომელიც მექსიკის ეროვნულმა უნივერსიტეტმა ჩაატარა, დადგინდა, რომ მუმიების ასაკი 1 000 წელია. ნეშთის დნმ-ის ანალიზმა კი აჩვენა, რომ „უცხოპლანეტელების“ გენეტიკური მასალა 30%-ით განსხვავდება ადამიანის დნმ-ისგან.

ნაყინი „მეტალიკასგან“

ნაყინის მწარმოებელმა ბრენდმა – Enlightened, არაკომერციულ ორგანიზაცია All Within My Hands-თან ერთად, რომელიც პოპულარული ამერიკული როკ-ჯგუფის Metallica-ს დაფუძნებულია, გიტარის ფორმის ნაყინი გამოუშვა. ვანილის ესკიმო – შავი შოკოლადით, ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი ვოკალისტის, ჯეიმს ჰეტფილდის მუსიკალური ინსტრუმენტითაა შთაგონებული. ნაყინის ხის ჯოხიც კი ჯგუფის გრიფითაა დამშვენებული. ამ ახალი ცივი დესერტის – Enlightened X AWMH – ერთი შეფუთვის ღირებულება 6.99 დოლარია. შეფუთვაში ოთხი ცალი ნაყინია. ცნობილია, რომ ტკბილეულის გაყიდვიდან მიღებული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოხმარდება.

ქმარს ძუძუს აჭმევს

ამერიკელი რეიჩელ ბეილი საკუთარ ქმარს ძუძუს აჭმევს და ეს გარყვნილებად კი არა, აბსოლუტურ ნორმად მიაჩნია. ბრიტანულ The Daily Mail-თან ინტერვიუში, სამი შვილის დედა ამტკიცებს, რომ მეუღლე – ალექსანდერი, უკვე ორი წელია, ავად არ ყოფილა, არც კი გაციებულა, მისი კანი კი გაცილებით უკეთესი გახდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ფეხმძიმობის შემდეგ, რეიჩელს ჭარბი ლაქტაცია ჰქონდა. დასასვენებლად წასულს რძის გამოსაწველის წაღება დაავიწყდა და ტკივილებმა შეაწუხა. მაშინ წყვილმა ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. კაცი მის რძეს დღეში სამ-ოთხჯერ სვამდა. ამან წყვილს შორის განსაკუთრებული კავშირი გააჩინა, რაც მანამდე არ ჰქონიათ – აცხადებს რეიჩელი.

მაკარონი გეიმერებისთვის

იაპონურმა კომპანია Nissin-მა, რომელიც სწრაფი მომზადების საკვებზეა სპეციალიზებული, კოფეინიანი ლაფშა გამოუშვა. ბრენდის წარმომადგენლების თქმით, სიახლე შესანიშნავი საკვები იქნება გეიმერებისთვის, რომლებიც ძალიან დიდ დროს ატარებენ კომპიუტერთან და ჭამაც კი ავიწყდებათ. მათი მაკარონი მოთამაშეებს დაანაყრებს კიდეც და თან მხნეობასაც შემატებს. არსებული მონაცემებით, ამომავალი მზის ქვეყანაში, გეიმერების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, მათი რიცხვი 50 მილიონს აჭარბებს. მოთამაშეთა ძირითადი კონტიგენტი ახალგაზრდები არიან. ენერგეტიკული ლაფშა ორი გემოთი წარადგინეს – ნივრითა და პილპილით. ინგრედიენტებს შორისაა კრევეტები, ღორის ხორცი, კვერცხი და კომბოსტო. ეს უჩვეულო სიახლე იაპონიაში უახლოეს დღეებში გაიყიდება და მისი ღირებულება 280 იენი იქნება.

ანტიბაქტერიული ბამბა შექმნეს

სპეციალისტებმა ანტიბაქტერიული ეფექტის მქონე ბამბა შეიმუშავეს. ამისთვის მათ ქსოვილი დაფარეს ლითონის ოქსიდის ნანონაწილაკებით, რომლებიც ცნობილია, რომ თრგუნავს ბაქტერიებისა და სხვა რეზისტენტული მიკროორგანიზმების აქტივობას. სწავლულებმა დამატებითი დაცვისთვის ულტრაბგერითი დამუშავების ტექნოლოგია გამოიყენეს, რამაც შესაძლებელი გახადა ლითონის ნაწილაკების თანაბრად განაწილება. მასალის საბოლოო ხარისხი და გარეგნობა საერთოდ არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბამბისგან. მისი დამცავი საფარი სარეცხ მანქანაში, სულ ცოტა, 20 გარეცხვას მაინც უძლებს. სამთვიანი ცდები მკვლევარებმა ვიეტნამში ჩაატარეს, სადაც მაღალი ტენიანობა და ტემპერატურაა. ასეთი გარემო კი ხელს უწყობს პათოგენების გამრავლებას. ცდების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ახალ ქსოვილზე მიკროორგანიზმების რაოდენობა 30-100-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ბამბაზე.

რომელი დიეტაა საუკეთესო?

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ სკანდინავიური დიეტა სამჯერ მეტ ზედმეტ კილოგრამს გვაკლებს, ვიდრე სხვა, რომელიმე კვების რეჟიმი. გარდა ამისა, კარგი პროფილაქტიკაა ინფარქტისა და ინსულიტის წინააღმდეგ. ათწლეულების განმავლობაში, კარდიოლოგები და დიეტოლოგები უპირატესობას ხმალეთაშუა ზღვის დიეტას ანიჭებდნენ და მას მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევდნენ. ამტკიცებდნენ, რომ კვების სწორედ ეს რეჟიმი უზრუნველჰყოფს ადამიანის დღეგრძელობას, რადგან მას ბევრი დაავადებისგან იცავს. ამიტომ რაციონი, რომელიც ზეითუნის ზეთის, ბოსტნეულის, ხილისა და ზღვის პროდუქტებისგან შედგებოდა, სამაგალითო იყო. თუმცა, დანიელმა მეცნიერებმა უფრო უკეთესი დიეტა აღმოაჩინეს, რომელიც გაცილებით ეფექტიანია გასახდომადაც და გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვისაც. მათ დაადგინეს, რომ სკანდინავიური სამზარეულო, რომელიც გარეულ კენკრას, თევზს, სხვადასხვა სახის მწვანილს შეიცავს, საუკეთესო ეფექტს შეიცავს. დიეტა გაჯერებულია ხილითა და ბოსტნეულით, კარტოფილით, ყველით, უცხიმო რძით, სოკოთი, ნიგვზით, მარცვლეულით, შინაური ან გარეული ფრინველის ხორცით, თევზით და ზღვის წყალმცენარეებით. კვების ამ რეჟიმისას, წითელი ხორცის მინიმალური რაოდენობა გამოიყენება, რაც ცხიმების დონეს ამცირებს. გამოკვლევისას, რომელშიც ჭარბი წონის მქონე 181 ადამიანი მონაწილეობდა, სკანდინავიური დიეტით სამჯერ მეტი დაიკლეს, ვიდრე ტრადიციული რაციონით.

ლუდი დემენციის წინააღმდეგ

ყოველდღიურად ორი კათხა ლუდის მირთმევა დემენციის რისკს ამცირებს – მიაჩნიათ სწავლულებს, „მწვანე კონტინენტიდან“. ავსტრალიელებმა 60 წელს ზემოთ, 25 ათასი ადამიანის ასაკობრივი ჭკუასუსტობის შესახებ მონაცემები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებიც დღეში ორ კათხა ქარვისფერ სითხეს სვამდნენ, სამჯერ უფრო ნაკლებად ჰქონდა მეხსიერების დაქვეითების პრობლემა, ვიდრე მათ, რომლებიც ლუდს საერთოდ არ მიირთმევდნენ. ამავე დროს, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სასარგებლო სპირტიანი სასმელი მხოლოდ ზომიერად მიღების შემთხვევაში იქნება.

პრინცესა შამანზე თხოვდება



ნორვეგიის პრინცესა მარტა ლუიზა და მისი პარტნიორი, ამერიკელი შამანი დიურეკ ვერეტი მომავალი წლის ზაფხულში დაქორწინდებიან. BBC-ის ინფორმაციით, ნორვეგიის მეფემ, ჰერალდ მეხუთემ წყვილს ბედნიერება უსურვა და განაცხადა, რომ ბედნიერია, რადგან ვერეტი მათი ოჯახის წევრი გახდება. წყვილის ნიშნობა ჯერ კიდევ 2022 წლის ივნისში შედგა – პრინცესამ სამეფო მოვალეობებზე უარი თქვა და მამისგან კურთხევაც მიიღო. აღსანიშნავია, რომ ვერეტი აფროამერიკელი მწერალი და შამანია. სამედიცინო კონსულტაციებს სპეციალური განათლებისა და კვალიფიკაციის გარეშე ატარებს. დიურეკი ამტკიცებს, რომ კიბო თავად ადამიანის არჩევანია, ინტერნეტით ჰყიდდა მედალიონებს, რომლებიც, მისი მტკიცებით, კორონავირუსისგან იცავდა. ვერეტი ამბობს, რომ „მეექვსე თაობის შამანია“, რომ მკვდრეთით აღდგა და 2011 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენები ორი წლით ადრე იწინასწარმეტყველა. საქმროს მსგავსად, მარტა ლუიზაც ალტერნატიული მედიცინითაა გატაცებული და სამეფო მოვალეობებიც სწორედ ამ საქმის გამო დათმო. ის ამტკიცებს, ასევე, რომ ანგელოზებთან კომუნიკაციის უნარი აქვს.

სოფელი-მოჩვენება ტურისტებს იზიდავს

ჩინეთში, შენიანგის მთისწინეთში მდებარე სოფელი-მოჩვენება ტურისტებისთვის, რომლებსაც ახალი შთაბეჭდილებების მიღება სურთ, შესანიშნავი ადგილია. უძრავი ქონების კომპლექსი State Guest Mansions, რომელიც 250 მდიდრული ვილისგან შედგება, ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარეობს. სამშენებლო გიგანტმა – Greenland Group-მა ეს პროექტი მდიდრების თავშესაფრად ჩაიფიქრა და სამუშაოები 2010 წელს დაიწყო. ვილები ევროპულ სტილში აშენდა, რომლებსაც მარმარილოს იატაკები და მოოქროვილი ჭაღები ამშვენებთ, თუმცა 2018 წელს, მოულოდნელად ეს ადგილი მიატოვეს, რასად ადგილობრივები კორუფციას უკავშირებენ. მიტოვებული სოფელი კი საშინელი სანახავია. ახლა ამ მოჩვენება-დასახლებას ადგილობრივი ღარიბი ფერმერები იყენებენ – დანგრეულ შენობებსა და ავტოფარეხებში პირუტყვის სადგომები აქვთ მოწყობილი.

ფოსტას უპილოტოები მოემსახურებიან

იაპონიის ფოსტის წარმომადგენლები იუწყებიან, რომ მომავალ საფინანსო წელს, რომელიც 2024 წლის აპრილიდან დაიწყება, წერილებსა და ამანათებს უპილოტო საფრენი აპარატები დაარიგებენ. საუბარია ამ მიზნისთვის სპეციალურად შექმნილ დრონებზე. მოწყობილობას შეუძლია, 35 კილომეტრის მანძილზე, ხუთ კილოგრამამდე წონის ტვირთი გადაიტანოს ამომავალი მზის ქვეყნის მთიან რეგიონებში. აღნიშნავენ, რომ მიწოდების ამ მეთოდს, ძირითადად, მთიანი რეგიონებისთვის, ან შორეული კუნძულებისთვის გამოიყენებენ, სადაც ნაკლები კურიერია. ეს მომსახურება შესაძლებელი მას შემდეგ გახდა, რაც იაპონიის სამოქალაქო ავიაციის კანონში შესწორება შევიდა და უპილოტო საფრენ აპარატებს საცხოვრებელ ზონებში ფრენის შესაძლებლობა მიეცა.

სამაჯური ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

ფინელმა სწავლულებმა, აალტოს უნივერსიტეტიდან, სპეციალური მოწყობილობა შეიმუშავეს, რომელიც ალკოჰოლიზმს უნდა შეებრძოლოს. ეს მოწყობილობა სამაჯურია, რომელიც მკლავზე სასიამოვნო დარტყმების იმიტაციას ახდენს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს ხელს უწყობს ორგანიზმში დოფამინისა და ოქსიტოცინის გამოყოფას და ხელსაწყოს მფლობელში სიამოვნების შეგრძნებას იწვევს. ეს ყველაფერი კი ადამიანის სტრესისადმი წინააღმდეგობას ზრდის და ეხმარება მას დამოკიდებულებისგან თავის დაღწევაში. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სამაჯური ალკოჰოლზე დამოკიდებულების სრულფასოვანი თერაპიის მხოლოდ ნაწილი შეიძლება იყოს და არა მისი შემცვლელი. სწავლულთა ვარაუდით, მოწყობილობის გამოყენება სხვა დაავადების სამკურნალოდაც შეიძლება.

მკვახე ბანანი სასარგებლოა



საჭმლის მომნელებელი ტრაქტის კიბოს განვითარების რისკის შესამცირებლად, დღეში ერთი მწვანე ბანანის მირთმევაც საკმარისია – ასეთ დასკვნებს აკეთებენ სწავლულები, ნიუკასლისა და ლიდსის უნივერსიტეტებიდან. მკვახე ბანანი, სიმინდისა და შვრიის ფანტელი, მოხარშული ცივი კარტოფილი, მაკარონი, ბრინჯი, ცეხვილი პური, პარკოსნები რეზისტენტულ სახამებელს შეიცავენ. ასეთი სახამებელი არ იწოვება წვრილ ნაწლავში და მსხვილ ნაწლავამდე აღწევს, სადაც სასარგებლო ბაქტერიებისთვის საკვებ ნიადაგად გვევლინება. სახამებლის დამცავი ეფექტი საერთაშორისო კვლევების ფარგლებში გამოვლინდა. 1000 პაციენტზე ჩატარებული ექსპერიმენტებით, რომლის დროსაც 30 გრამ რეზისტენტული სახამებლის ფხვნილს იყენებდნენ (ერთ მწვანე ბანანში არსებული რაოდენობა), გაირკვა, რომ სახამებელი 60%-ით ამცირებდა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზედა ნაწილის – საყლაპავის, კუჭის, ნაღველგამომყოფი გზების, თორმეტგოჯა ნაწლავის ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ეფექტი სახამებლის მიღების შეწყვეტიდან კიდევ ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

სმარტფონებს ტროტუარი მუხტავს

ინგლისის ქალაქ ტელფორდში, ჭკვიანი გასაბერი ტროტუარი გახსნეს. ის ელექტროენერგიას ადამიანების ნაბიჯებით გამოიმუშავებს, თანაც იმდენს, რომ შეუძლია, ენერგიის ორი ახლომდებარე დასამუხტი სადგური უზრუნველჰყოს, რომლებიც სკამებშია ჩამონტაჟებული. ტროტუარი რეზინისა და უჟანგავი ფოლადის ფილებისგან შედგება, რომლებსაც საათში 2.1 ვატი ენერგიის წარმოება შეუძლიათ. ყოველი ფილა, დაახლოებით, 5 მილიმეტრით იხრება, როცა მასზე დადიან. ეს ქმნის კინეტიკურ ენერგიას, რაც შემდეგში, ელექტროენერგიად გარდაიქმნება. ტროტუარი ქალაქში იმ ადგილებში დააგეს, სადაც ფეხით მოსიარულეები ინტენსიურად მოძრაობენ.

სიცივე გახდომაში გვეხმარება

ავსტრალიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სიცივისგან კანკალი, რომელიც ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთის შემდეგაც ჩნდება, ასტიმულირებს თეთრი ცხიმის გარდაქმნას მუქ ცხიმად, რომელიც ენერგიას წვავს. მუქი ცხიმი, შესაძლოა, სიმსუქნესთან, ღვიძლის დაავადებასა და შაქრიან დიაბეტთან ბრძოლაში ახალი თერაპიული სამიზნე გახდეს. დიდი ხნის განმავლობაში, მიიჩნეოდა, რომ მუქი ცხიმის ქსოვილი, რომელიც კარგად არის განვითარებული პატარებში, ასაკის მატებასთან ერთად ქრებოდა. თუმცა, ახლა ცნობილია, რომ ეს ცხიმი მოზრდილებშიც გვხვდება, თანაც ვისაც უფრო მეტი აქვს, გაცილებით მოხდენილი სხეული აქვთ, სისხლში გლუკოზის დონე კი – უფრო დაბალი. ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მუქი ცხიმის წარმოშობას ხელს უწყობს სიცივე, მაგრამ გაურკვეველი იყო, რა გზით გადასცემდა სხეული უჯრედებს შესაბამის სიგნალს. ამ მექანიზმის გასარკვევად, ავსტრალიელმა სწავლულებმა მოხალისეებზე ჩაატარეს ცდები, რომლის დროსაც ისინი დაბალ ტემპერატურაზე (12 გრადუსამდე) მოათავსეს, ვიდრე სიცივისგან არ აკანკალდნენ. მოხალისეების კანზე დამაგრებული იყო მოწყობილობა კუნთების ელექტრული აქტიურობის შესაფასებლად. გარდა ამისა, აიღეს სისხლის ნიმუშები ჰორმონების გასაზომადაც. როგორც ცნობილია, თუ ადამიანი იყინება, პირველ რიგში, ორგანიზმის დასაცავად აქტიურდება მუქი ცხიმის უჯრედები, რომელიც ენერგიის მარაგს სითბოდ გარდაქმნის. იმ შემთხვევაში, როცა ეს ენერგია არასაკმარისია, კუნთები მექანიკურად იკუმშება ან ცახცახებს, სითბოს გამომუშავება რომ გაგრძელდეს. სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ამ დროს იზრდება ორი ჰორმონის – ირიზინის (კუნთების გამომუშავებული) და FGF2-ის (მუქი ცხიმის ქსოვილის გამომუშავებული) დონე. ლაბორატორიულმა ექსპერიმენტმა ცხადჰყო, რომ ამ ჰორმონებმა გააქტიურეს ენერგიის დამწველი მექანიზმი. მკვლევარები აცხადებენ, რომ მომავალში, ამ ჰორმონების გამოყენება სიმსუქნის თერაპიის დროსაც იქნება შესაძლებელი, რადგან მათი წყალობით, თეთრი ცხიმი მუქად გარდაიქმნება.

ვერტიკალური ფერმები ზაფრანასთვის

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ქალაქ შარჯაში, კომპანია Veggitech-მა, მსოფლიოში ყველაზე ძვირი სანელებლის – ზაფრანას ულტრათანამედროვე, ვერტიკალურ ფერმებში მოყვანა გადაწყვიტა. მცენარის მოყვანის სამეწარმეო ციკლი სამ თვეს – აგვისტოდან ნოემბრამდე გრძელდება, რის შემდეგაც ზაფრანას ბოლქვები სათბურში გადადის, შემდგომ ცხრა თვეს კი ფერმებში ეგზოტიკური სოკო მოჰყავთ. ჭკვიანი ფერმა საშუალებას იძლევა, უფრო ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კულტურები მოიყვანონ, ყოველგვარი სასუქისა და პესტიციდების გარეშე. ვერტიკალურ ფერმებს მიწაც ნაკლები სჭირდება და წყალსაც მინიმალური რაოდენობით მოიხმარს. კომპანიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი მიდგომით, საემიროები სასურსათო უსაფრთხოებას გაზრდიან და მსოფლიოში ყველაზე ძვირი სუნელის ფასიც საგრძნობლად შემცირდება.

მგზავრებს ავტობუსებში სიმღერა აუკრძალეს

კანადის ქალაქ ვინიპეგის ხელისუფლება ახალი აქტის მიღებას აპირებს, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, ქალაქის მცხოვრებლებს სიმღერა ეკრძალებათ. კანონდამღვევი ფულადი ჯარიმით – 100 დოლარით დაისჯება. ახალი აქტი მგზავრებს უკრძალავს სიმღერას, დაკვრას მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ან რამე წარმოდგენის შეთავაზებას ნებისმიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ქალაქის მერის თქმით, აკრძალვის ძირითადი მიზანია მგზავრების დაცვა ზედმეტი ხმაურისგან. ადამიანებს აქვთ უფლება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიმშვიდესა და სიჩუმეში იმგზავრონ, – მიაჩნია ვინიპეგის მერს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.